პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 20 იანვარი, 1948 წ. № 14 (8058). ფასი 20 კაპ.

სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი წინსვლა

დღეს „პრავდა" აქვეყნებს დოკუმენტს, რომელიც ჩვენი ქვეყნის თვითეული ადამიანის, სოციალისტური საზოგადოების თვითეული მშრომელის სიამაყესა და სიხარულს გამოიწვევს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იუწყება 1947 წლის — ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის — სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგებს. მილიონობით საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილების გრძნობით შეიტყობენ, რომ მათმა თავდადებულმა შრომამ, ბოლშევიკური პარტიის მიერ შთაგონებულმა, ჩვენს სამშობლოს ახალი შესანიშნავი ნაყოფი მოუტანა.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ციფრები მეტყველებენ სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი წინსვლის შესახებ, საბჭოთა ხალხის გმირული შრომის დიდი შემოქმედებითი ძალის შესახებ, ლენინ-სტალინის პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის — ჭეშმარიტად გუმბერაზული მუშაობის შესახებ.

ომის დამთავრებისთანავე ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა ისტორიული ამოცანები საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც თავისი სამეურნეო განვითარების ახალ მშვიდობიან პერიოდში შევიდა. „ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო - ეკონომიური ძლიერება" (სტალინი).

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოქვეყნებული ცნობის თვითეული სტრიქონი მოწმობს იმას, თუ რა არაჩვეულებრივი ძალით, რა რკინისებური კანონზომიერებით განამტკიცებს ჩვენი ქვეყანა მოპოვებულ პოზიციებს, აღადგენს თავის მეურნეობას, ზრდის ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას და განუხრელად მიდის წინ იმ სახელოვანი და გმირული გზით, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ბრძენი მესაჭის ამხანაგ სტალინის მიერ არის დასახული.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კანონები გეგმიანი, გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციისა, რომელიც ხორციელდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საბჭოთა ეკონომიკა მწარმოებელი ძალების განუწყვეტელი განვითარების ნაცადი გზით მიდის. კვლავ და კვლავ იჩენს თავს სოციალიზმის დიდი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. მაშინ როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა მზარდი კრიზისის დარტყმებით უფსკრულისაკენ მიექანება, მკვეთრად ძლიერდება ინფლაცია, მცირდება მუშათა ხელფასი, იზრდება უმუშევრობა, ეცემა მშრომელთა საარსებო დონე, საბჭოთა კავშირში სწრაფად მიმდინარეობს მეურნეობის აღდგენა, განუხრელად ვითარდება ეკონომიკის, კულტურის ყველა დარგი, განუწყვეტლივ იზრდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის სწრაფ აღდგენასა და განვითარებას, მრეწველობისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველს, ინდუსტრიულ ხერხემალს შეადგენს. როგორია ორი წლის შედეგები? გასული წლის გეგმა საერთო პროდუქციის დარგში სსრ კავშირის მთელმა მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა. ერთგვარი ჩამორჩენა გეგმისაგან, რასაც ომისშემდგომი გარდაქმნის შედეგად 1946 წელს ჰქონდა ადგილი, წარმატებით არის დაძლეული. ხუთწლედის ორი პირველი წლის გეგმა ჩვენმა მრეწველობამ მთლიანად შეასრულა. ამასთან შესანიშნავია სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები, რომლებიც ყოველ კვარტალობით იზრდებოდნენ. თუ, 1946 წლის სათანადო პერიოდთან შედარებით, 1947 წლის პირველ კვარტალში მრეწველობის პროდუქცია 17 პროცენტით გადიდდა, მეორე კვარტალში იგი გაიზარდა 18 პროცენტით, მესამეში — 26 პროცენტით და მეოთხე კვარტალში — 30 პროცენტით. გასული წლის მეოთხე კვარტალში საბჭოთა კავშირმა მიაღწია ომამდელი 1940 წლის სამრეწველო წარმოების საშუალო კვარტალურ დონეს. ამრიგად, სსრ კავშირის მრეწველობას ახლა იმის ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ მიმდინარე წელს ომამდელ დონეს გადააჭარბოს.

ომისშემდგომმა ხუთწლიანმა გეგმამ გიგანტური ამოცანები დაუსახა სოფლის მეურნეობას, რომელიც მოწოდებულია შექმნას კვების პროდუქტების სიუხვე ჩვენს ქვეყანაში და მრეწველობა მომარაგოს ნედლეულით. 1946 წელი მძიმე აღმოჩნდა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის — მკაცრმა გვალვამ მძიმე გავლენა მოახდინა სამხედრო დარტყმებისა და გერმანული ოკუპაციისაგან ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელ სოფლის მეურნეობაზე. მაგრამ მხოლოდ ერთი წელიწადი — უმაგალითოდ მოკლე ვადა! — საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებით დაეძლია გვალვით გამოწვეული სიძნელეები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის მიეღწია. 1947 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მიწათმოქმედების პროდუქცია 48 პროცენტით გაიზარდა. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი გადიდდა 58 პროცენტით, ბამბისა — 21 პროცენტით, კარტოფილისა—30 პროცენტით, ხოლო შაქრის ჭარხლის მოსავალი თითქმის ერთისამად გაიზარდა. ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს, კოლმეურნე გლეხობისა და მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი გამარჯვებაა ის, რომ უკვე 1947 წელს სსრ კავშირში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ მიაღწია ომამდელ დონეს — რა ახალი, უდავო დადასტურებაა სოციალისტური ეკონომიკის განუსაზღვრელი შესაძლებლობებისა!

მიიღო რა უხვი მოსავალი, ჩვენი ქვეყანა მტკიცე საფუძველს ჰქმნის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. 1948 წლისათვის საშემოდგომო კულტურები დათესილია 3,5 მილიონი ჰექტარით მეტი და მზრალად მოხნულია 8 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1946 წელს. საბჭოთა სოფელი არა მარტო იბრუნებს შეძლებულ ცხოვრებას, რაც ომამდელ წლებში იყო მიღწეული, არამედ აგრეთვე ჰქმნის საფუძველს სახალხო სიმდიდრის ახალი მძლავრი ზრდისათვის, კოლმეურნეთა მასების შეძლებულობისა და კულტურის კიდევ უფრო სწრაფი ზრდისათვის.

ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოების გრანდიოზულ პროგრამას შეიცავს. ჩვენი ქვეყნის ძირითადი ფონდების აღდგენა და განუხრელი ზრდა ხუთწლედის ერთ-ერთ გადამწყვეტ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან ჩვენი საბჭოთა ქვეყანა საკუთარ ძალებზე დამყარებით ზრდის ძირითად ფონდებს. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური დამოუკიდებლობა სახალხო მეურნეობის მთელი ომისშემდგომი განვითარების მძლავრი საფუძველია. და გერმანული ოკუპაციით მიყენებული უდიდესი, უმაგალითო ზარალის მიუხედავად, საბჭოთა კავშირმა ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ააგო, აღადგინა და აამუშავა 1.900-მდე სახელმწიფო საწარმო. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანას, მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ გმირ საბჭოთა ხალხს ძალუძს აღადგინოს, ააგოს და აამუშაოს 730 დღეში 1.900 საწარმო!

სახალხო მეურნეობის წარმატებებმა — ერთი წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 22 პროცენტით გადიდებამ, სამრეწველო წარმოების ომამდელი დონისა და მარცვლეული კულტურების ომამდელი მოსავლიანობის მიღწევამ, პურის დამზადების წარმატებით ჩატარებამ შესაძლებლობა მოგვცა გასული წლის დამლევს გაგვეუქმებინა საბარათო სისტემა, გაგვეუქმებინა მაღალი კომერციული ფასები და გადავსულიყავით საქონლის გაყიდვაზე ერთიანი სახელმწიფო ფასებით და ამასთან შეგვემცირებინა პურისა და ბურღულის საულუფო ფასები. მარტო სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წლის განმავლობაში მიიღებს წმინდა სარგებლობას 57 მილიარდზე მეტი მანეთის რაოდენობით! ბარათების გაუქმებასთან ერთად გატარდა ფულის რეფორმა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძალების კიდევ უფრო მეტ ზრდას და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას.

დიადი ძალა, რამაც უზრუნველჰყო 1947 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება, იყო საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რაც ესოდენ მკაფიოდ იჩენს თავს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეში—ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, სტახანოვური მოძრაობის ზრდაში, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის სოციალისტური შეგნების ამაღლებაში. ლენინის ქალაქის მშრომელთა თაოსნობით ჩვენი ქვეყნის საწარმოებში და მშენებლობებზე დღითი დღე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მძლავრი მოძრაობა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მოპოვებული ისტორიული წარმატებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს, იბრძოლებენ იმისათვის, რომ ხუთწლედის მესამე წელი სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა წელიწადად, ლენინ-სტალინის დიადი საქმის ახალი გამარჯვების წელიწადად გახადონ!

„პრავდის" მოწინავე, 18/1

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობა

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

1947 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება მიმდინარეობდა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ნიშნით.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მუშაობა, კაპიტალურ სამუშაოთა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, კადრების მომზადება და კულტურული მშენებლობა სსრ კავშირში 1947 წელს—ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წელს—ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I

წარმოების გეგმა 1947 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით ცალკეული სამინისტროების მიე, შესრულებულია შემდეგნაირად:

	1947 წლის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
შავი მეტალურგიის სამინისტრო	101
ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	107
აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	100
დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	95
სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტრო	106
აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტრო	107
ელექტროსადგურთა სამინისტრო	101
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	114
ელექტრომრეწველობის სამინისტრო	108
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო	112
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო	98
დაზგათმშენებლობის სამინისტრო	106
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	107
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	115
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	94
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	100
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	101
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	96
ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	98
რეზინის მრეწველობის სამინისტრო	107
სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	103
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	106
სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრო	104
სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრო	96
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	107
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	109
სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	113
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები	111

1947 წლის გეგმა სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით შესრულებულია 103,5 პროცენტით. ხუთწლედის ორი პირველი წლის გეგმა სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით 1946 და 1947 წლებში შესრულებულია 100 პროცენტით.

II

უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1947 წელს 1946 წელთან შედარებით შეიცვალა შემდეგნაირად:

	1947 წელი პროცენტობით 1946 წელთან შედარებით
თუჯი	114
ფოლადი	109
ნაგლინი	115
სპილენძი	109
თუთია	116
ტყვია	126
ქვანახშირი	112
ნავთობი	119
ბენზინი	136
ნავთი	125
ბუნებრივი გაზი	122
ელექტროენერგია	115
სამაგისტრალო ორთქლმავლები	277
ტროლეიბუსები	309
ავტომობილები	130
ბურთულასაკისრები	134
ორთქლის ტურბინები	257
ელექტრომოტორები 100 კილოვატამდე	152
ელექტრომოტორები 100 კილოვატზე ზევით	139
სპეციალური და სააგრეგატო ლითონსაჭრელი დაზგები	130
სავატერო მანქანები	263
ტრაქტორები	209
სასოფლო-სამეურნეო მანქანები	206
მინერალური სასუქი (სუპერფოსფატი, აზოტიანი და კალიუმიანი)	135
სინთეზური საღებავები	144
ავტოსაბურავი	149
სამასალე მერქნის გამოზიდვა	126
ქაღალდი	125
ცემენტი	140
შიფერი	139
ფანჯრის მინა	119
რბილი სახურავი	128
ბამბის ქსოვილი	133
შალის ქსოვილი	133
ტყავის ფეხსაცმელი	140
რეზინის ფეხსაცმელი	168
ერბო-კარაქი	112
მცენარეული ზეთი	124
თევზი	128
შაქარი	210
საპონი	128

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა, აქედან საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია—33 პროცენტით.

1947 წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი სისტემატურად მატულობდა. პროდუქციის მატება 1946 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით შეადგენდა: პირველ კვარტალში—12 პროცენტს, მეორე კვარტალში—18 პროცენტს, მესამე კვარტალში—26 პროცენტს და მეოთხე კვარტალში—30 პროცენტს.

1947 წლის IV კვარტალში მიღწეულია ომამდელი 1940 წლის სამრეწველო წარმოების საშუალო კვარტალური დონე.

III

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 32 პროცენტით გადიდდა, ამასთან მიწათმოქმედების პროდუქცია გადიდდა 48 პროცენტით. მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საერთო მოსავალი 1947 წელს 1946 წელთან შედარებით შემდეგი ოდენობით გადიდდა: მარცვლეული კულტურებისა—58 პროცენტით, ბამბისა—21 პროცენტით, კარტოფილისა—30 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა—190 პროცენტით, მზესუმზირასი—79 პროცენტით, სელის ბოჭკოსი—29 პროცენტით, კანაფის ბოჭკოსი—78 პროცენტით. 1947 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ ომამდელ დონეს მიაღწია.

1947 წელს 1948 წლის მოსავლისათვის დათესილია 3,5 მილიონი ჰექტარით მეტი საშემოდგომო კულტურები, ვიდრე 1946 წელს. 1947 წელს 1948 წლის მოსავლისათვის მზრალად მოხნულია 8 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1946 წელს.

1947 წელს შესრულებულია 29 პროცენტით მეტი სატრაქტორო სამუშაო, ვიდრე 1946 წელს. გადაჭარბებით არის შესრულებული საგაზაფხულო ხვნის, თესვისწინა კულტივაციის, საგაზაფხულო კულტურების თესვის, საანეულო ხვნისა და საშემოდგომო კულტურების თესვის სატრაქტორო სამუშაოები. ერთი ტრაქტორის გამომუშავება 1946 წელთან შედარებით 21 პროცენტით გადიდდა.

IV

1947 წელს 1946 წელთან შედარებით გადიდდა რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა. რკინიგზების საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 1946 წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა, აქედან: ქვანახშირისა—11 პროცენტით, შავი ლითონებისა—13 პროცენტით, ნავთისა—18 პროცენტით, ხე-ტყისა—13 პროცენტით, ცემენტისა—ერთნახევარჯერ.

სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 23 პროცენტით გადიდდა, სამდინარო ტრანსპორტმა 102 პროცენტით შეასრულა ტვირთბრუნვის წლიური გეგმა.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა; საზღვაო ტრანსპორტმა 108 პროცენტით შეასრულა ტვირთბრუნვის წლიური გეგმა.

V

ყველა კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1947 წელს მთელ სახალხო მეურნეობაში 1946 წელთან შედარებით 110 პროცენტს შეადგენდა, აქედან ქვანახშირის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა—109 პროცენტს, ელექტროსადგურებისა—104 პროცენტს, მსუბუქი და კვების მრეწველობისა—130 პროცენტს და ტრანსპორტისა—108 პროცენტს.

1946 წელს და 1947 წელს აგებული, აღდგენილი და ამუშავებულია 1.900-მდე სახელმწიფო საწარმო.

სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა 1947 წელს ახლად ააშენეს და აღადგინეს 9 მილიონ კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა, მოქალაქეებმა ინდივიდუალური წესით თავიანთი შრომითი დანაზოგით ააგეს ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახლები, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი 4 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს.

VI

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 117 პროცენტს შეადგენდა (შესადარ ფასებში).

კოოპერაციული ვაჭრობის მოცულობა ქალაქებში 1947 წელს შეადგენდა 22,4 მილიარდ მანეთს. 1947 წლის IV კვარტალში კოოპერაციული ვაჭრობის მოცულობა ქალაქებში თითქმის ერთიორად გადიდდა 1947 წლის I კვარტალთან შედარებით.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე 1947 წელს გაუქმდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემა, გაუქმდა მაღალი კომერციული ფასები და განხორციელდა ერთიან სახელმწიფო ფასებში საქონლის გაყიდვაზე გადასვლა, ამასთან შემცირდა პურისა და ბურღულის საულუფო ფასები.

მარტო სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებით საბჭოთა კავშირის მშრომელები წლის განმავლობაში 57 მილიარდ მანეთზე მეტ წმინდა სარგებლობას მიიღებენ.

საბარათო სისტემის გაუქმებისათვის მზადებასა და ერთიანი ფასებით ღია ვაჭრობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა 1947 წელს გახსნეს 55 ათასი ახალი მაღაზია, კიოსკი და ფარდული.

VII

1947 წლის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში თითქმის 1,2 მილიონით გადიდდა.

მრეწველობის დარგების უმეტესობამ შეასრულა სახელმწიფო გეგმით 1947 წლისათვის დაწესებული დავალება შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრივ; ამასთან მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1947 წელს 13 პროცენტით გადიდდა 1946 წელთან შედარებით.

სახალხო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი 1947 წელს 23 პროცენტით გადიდდა 1946 წელთან შედარებით.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებმა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა 1947 წელს 790 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა გამოუშვეს. ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობისა და კურსებზე სწავლების გზით 1947 წელს მომზადებულია ახალი კვალიფიციური კადრები —2.200 ათასი კაცი და წარმოებაში კვალიფიკაცია აუმაღლდა 3.200 ათას კაცს.

დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა 1946 წელთან შედარებით 860 ათასით გადიდდა; ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების რაოდენობა წლის განმავლობაში 36 ათასით გადიდდა და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რაოდენობა —56 ათასით.

1947 წელს გადიდდა სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო ბაგების ქსელი.

VIII

იმ რაიონების მეურნეობის აღსადგენად, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 1947 წელს შესრულებულია 18 მილიარდზე მეტი მანეთის კაპიტალური სამუშაოები, არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გარდა.

მრეწველობის საერთო პროდუქცია იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 1947 წელს 33 პროცენტით გადიდდა 1946 წელთან შედარებით, თუჯის პროდუქცია გადიდდა 30 პროცენტით, ნაგლინისა—35 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება დონბასში—19 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა 35 პროცენტით, ცემენტისა—48 პროცენტით, შაქრისა—123 პროცენტით.

გერმანული ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში 1947 წელს აგებული და აღდგენილია 5 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ქალაქებში და 370 ათასი საცხოვრებელი სახლი სოფელ ადგილებში.

IX

მოკავშირე რესპუბლიკებში სამრეწველო წარმოების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 1947 წლის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
რსფსრ	106
უკრაინის სსრ	99
ბელორუსიის სსრ	102
უზბეკეთის სსრ	104
ყაზახეთის სსრ	104
საქართველოს სსრ	110
აზერბაიჯანის სსრ	106
ლიტვის სსრ	102
მოლდავეთის სსრ	109
ლატვიის სსრ	117
ყირგიზეთის სსრ	109
ტაჯიკეთის სსრ	112
სომხეთის სსრ	107
თურქმენეთის სსრ	106
ესტონეთის სსრ	113
კარელია-ფინეთის სსრ	86

X

1947 წლის დამლევს სსრ კავშირში განხორციელდა ფულის რეფორმა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ფულის რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად ვადიდდა მანეთის მყიდველობითი ძალა, მიმოქცევიდან ამოღებულია ძველი ფული და მიმოქცევაში გამოშვებულია ახალი სრულფასოვანი ფული.

* * *

1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება მიმდინარეობდა საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში.

ლენინგრადის მშრომელთა თაოსნობით სსრ კავშირის საწარმოებში და მშენებლობებზე ფართოდ ჩაღდება სახალხო მოძრაობა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისა და ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავის ქალაქ რუსთავად გარდაქმნის შესახებ

გამოეყოს საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონს დაბა რუსთავი და გარდაიქმნას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 19 იანვარი. ქ. თბილისი.

დარბაზობა ვ. მ. მოლოტოვთან პოლონეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

17 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა პოლონეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ი. ცირანკევიჩი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ვ. გომულკა და მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გ. მინცი, აგრეთვე მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ლ. გროსფელდი, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ლ. რუჟანსკი და სხვა ოფიციალური პირები, სსრ კავშირში პოლონეთის საელჩოს წევრები ელჩის ბ-ნ მ. ნაშკოვსკის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე მოსკოვში მყოფი მონღოლეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბ-ნ ლუბსანის მეთაურობით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის წევრები ფინანსთა მინისტრ ბ-ნ ვ. ლუკას მეთაურობით, ბელგია-ლუქსემბურგის სავაჭრო დელეგაციის წევრები ბელგიის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორ ბ-ნ ლ. მეერსის მეთაურობით.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ ა. ი. მიქოიანი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. როდიონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ვ. კოვალიოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლებედევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ი. ფ. სემიჩასტნოვი და მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი პოლონეთში მ. გ. ლომაკოვი, ი. ა. პარფენოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. ჩერნოუსოვი, ნ. გ. პალგუნოვი, ა. ი. პუზინი, ნ. ნ. რომანოვი, ვ. ნ. მერკულოვი, ა. ს. გუნდოროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწეები.

დარბაზობამ გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

მშრომელთა დეპუტატების თბილისის მეორე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია

გუშინ, 19 იანვარს, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის მეორე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ: კ. ნ. ჩარკვიანი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, თ. ი. ტოლბუხინი, მ. ი. ბარამია, ა. ე. თოფურიძე, ვ. დ. ბუჯიაშვილი, პ. ა. შარია, ვ. ბ. გოგუა, ზ. ნ. კეცხოველი, ს. მ. იშხანოვი, კ. ს. ციმაკურიძე, ლ. ა. რუხაძე, ა. ნ. რაფავა, გ. თ. კარანაძე, ე. ი. ჩერქეზია, გ. დ. ჟორჟიკაშვილი, ვ. დ. კუპრაძე, ა. თ. ხელიძე.

სესიას ხსნის თბილისის საქალაქო საბჭოს ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ზ. გულისაშვილი.

თავის შესავალ სიტყვაში დეპუტატმა გულისაშვილმა აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესია იხსნება იმ მომენტში, როდესაც საბჭოთა ხალხმა წარმატებებით დაამთავრა ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და შეუდგა მუშაობას ხუთწლედის მესამე წლის გრანდიოზულ ამოცანათა შესასრულებლად. ჩვენი ქვეყნის მიღწევებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაში ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ.

სესიის მონაწილენი მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან ვ. ზ. გულისაშვილის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს, 11 იანვარს, თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად დედაქალაქის მშრომელებმა ერთსულოვნად აირჩიეს აგრეთვე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი, გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ამით მათ გამოხატეს საქართველოს ყველა მშრომელთა ნება-სურვილი.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილები, ყველა ისინი, ვინც განუხრელად იბრძოდა და იბრძვის საქართველოს დედაქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და აყვავებისათვის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მძლავრი აღმავლობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის.

დასასრულ დეპუტატი გულისაშვილი ლაპარაკობს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც თბილისის საქალაქო საბჭოში ახლად არჩეული დეპუტატების წინაშე დგას. დეპუტატებმა უნდა დარაზმონ მთელი ძალები იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში. დეპუტატებმა განუხრელად უნდა იბრძოლონ საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

სესიის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული დეპუტატი ნ. ბ. გაბუნია, მდივნად — დეპუტატი ნ. ა. ოდიშვილი.

დღის წესრიგის დამტკიცებისა და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ სესიამ მოისმინა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგის დეპუტატ ვ. ი. ჩომახიძის მოხსენება: „სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმებასთან დაკავშირებით საბჭოთა ვაჭრობის გაშლის შესახებ“.

მომხსენებელმა ილაპარაკა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილების ისტორიულ მნიშვნელობაზე და იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ამ დადგენილების განხორციელებისათვის გასწიეს დედაქალაქის პარტიულმა, საბჭოთა და სავაჭრო ორგანიზაციებმა. მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე ზოგიერთ ნაკლზე, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში.

დეპუტატ ჩომახიძის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: პ. ს. კილასონიამ, ბ. პ. გოგოძემ, კ. ზ. ნაჭყებიამ, ს. ე. ჯანფოლადოვმა, ნ. ი. ლორთქიფანიძემ, ს. ა. აბაშიძემ.

ამით დაიხურა სესიის პირველი სხდომა. დღეს სესია განაგრძობს მუშაობას.

მზადება ლენინის დღეებისათვის

მახარაძე

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით რაიონში მოწყობილი 46-ვე აგიტპუნქტი კვლავ განაგრძობს მუშაობას. აგიტატორები მშრომელებს მოუთხრობენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა 23 იანვრამდე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყოს ლექცია-მოხსენებანი თემაზე: „24 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, სტალინის წინამძღოლობით“. რაიკომის პარტკაბინეტსა და ბიბლიოთეკებში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენები, რომლებიც ასახავენ ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად მომენტებს.

ლ. ლოლაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

* * *

ტყიბული

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა მოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ლენინის დღეებისათვის მზადებას ტყიბულელი მეშახტეები მძლავრი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ. ერთ-ერთმა უძველესმა შახტმა, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, უკანასკნელ დღეებში მკვეთრად გაადიდა ქვანახშირის მოპოვება. ამ შახტის მთელი რიგი უბნები და მუშები ლენინის დღეებთან დაკავშირებით სტახანოვურ ვახტზე დადგნენ. ალექსანდრე ცირეკიძის უბანი, რომელიც ვახტზე დგას, ყოველდღიურ დავალებას 140-160 პროცენტით ასრულებს. 16 დღეში ამ უბანმა 22 დღის გეგმა შეასრულა. ნიკოლოზ ცერცვაძის უბანი სისტემატურად ჩამორჩებოდა დავალებათა შესრულებაში. უკანასკნელ დღეებში უბანმა გაადიდა ქვანახშირის მოპოვება, დაფარა დანაკლისი და თვალსაჩინოდ გადააჭარბა 16 დღის გეგმას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი მნგრეველი შალვა ფურცხვანიძე ცვლაში 10,7 ტონის ნაცვლად ხშირად 25-30 ტონა ქვანახშირს ანგრევს. ასევე წარმატებით მუშაობენ ძველი მეშახტე ლენინის ორდენოსანი ალექსანდრე კასრაძე, კადრის მეშახტეები სუქნიძე, ქათამაძე, ბეშკენაძე.

ს. მერკვილაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

* * *

ფოთი

ქალაქისა და ნავსადგურის პარტკაბინეტებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები, რომლებსაც ქალაქის მშრომელები ინტერესით ათვალიერებენ.

საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იმართება ლექციები და მოხსენებები თემებზე: „24 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, სტალინის წინამძღოლობით“, „ლენინიზმის ზეიმი“, „ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობა“.

კინოთეატრებსა და კლუბებში უჩვენებენ ცნობილ საბჭოთა კინოფილმებს: „ლენინი ოქტომბერში“ და „დიადი განთიადი“.

21 იანვარს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგება პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

ალ. წურწუმია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილის — რუსთავის ქალაქად გარდაქმნის შესახებ, რომელიც დღეს გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოიშვა და გაიზარდა კიდევ ერთი სამრეწველო ქალაქი, მრავალი საუკუნის წინათ გადამთიელი დამპყრობლების მიერ ძირფესვიანად დანგრეული და ნახანძრალი, ჩვენს დიად სტალინურ ეპოქაში აღდგენილი სოციალისტური ქალაქი რუსთავი. რუსთავი მეტალურგების ქალაქია და მისი შექმნის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში მსხვილი მეტალურგიული მრეწველობის შექმნასთან.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველოს ტომებმა ხალიბებმა და მოსინიკებმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5-6 საუკუნით ადრე სახელი გაითქვეს, როგორც დახელოვნებულმა მეტალურგებმა, რომლებიც ამზადებდნენ მაშინდელი დროისათვის უმაღლესი ხარისხის ფოლადს, სხვადასხვა ფერად ლითონთა შენადნობებს. უძველესი აღწერილობანი და აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ალავერდის რაიონში, ბორჩალოში, ზემო იმერეთში, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის ყოფილ ტერიტორიაზე წარმოებულ არქეოლოგიურ ძიებათა დროს მოპოვებული მასალები უდავოდ მოწმობენ, რომ საქართველოში შორეულ წარსულშივე დიდად იყო განვითარებული მეტალურგია და ლითონთა დნობის კულტურაც მაღალ საფეხურზე იდგა. მაგრამ უცხოელ დამპყრობთა ურდოების ხშირმა თავდასხმებმა საქართველოს მაშინდელი სახალხო მეურნეობა დააქვეითა, გააჩანაგა და გაძარცვა, ხოლო მეტალურგია ისე გაანადგურა, რომ არაერთი ცდა მისი ხელახლა აღდგენისა შედარებით ახლო წარსულში (XVIII-XIX საუკუნეებში) უშედეგო შეიქმნა.

მაგრამ აი ხელახლა დაუდგა საქართველოს ახალი ბრწყინვალე აღორძინების ხანა — სტალინური ეპოქა. საქართველოში შენდება მეტალურგიული გიგანტი, რომლისკენაც მალე დაიძვრის დაშქესანის რკინის მადნისა და ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ნაკადი, ამუშავდებიან ბრძმედები და მარტენის ღუმელები, წამოვა ქართული თუჯი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადი, რომელთაც საბჭოთა ბლუმინგი და სხვადასხვა საამქროებში გამართული ათასნაირი დაზგები გადააქცევენ ჩვენი მშენებლობისათვის, ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ფართო ასორტიმენტის ნაწარმად. აქვე მეტალურგიულ გიგანტთან შენდება მრავალი სხვა ქარხანა და დიდი საწარმო — ხის დამმუშავებელი კომბინატი, ბეტონის ცენტრალური კომბინატი, სარემონტო მექანიკური ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და სხვა საწარმოები, რომელთა შექმნაც გამოწვეულია მეტალურგიული გიგანტის მშენებლობით.

ამჟამად უკვე მუშაობენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველი დამხმარე საამქროები — ლითონის კონსტრუქციისა, ხის დამმუშავებელი, სამსხმელო და მექანიკური. უკვე მკაფიოდ გამოჩნდა საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი თბოელექტროცენტრალის, მარტენის საამქროს და საბრძმედე საამქროს გოლიათური კონტურები. რუსთავის მთელი თვალუწვდენი ტერიტორია დაქსელილია დროებითი საავტომობილო და სარკინიგზო ხაზებით, კავშირგაბმულობის მავთულებით, ელექტროძალოვანი გაყვანილობებით, მიწისქვეშა სამრეწველო კომუნიკაციებისათვის ამოღებული ღრმა თხრილებით, ღვარსაშვებებით. მრავალი ათასი ადამიანი, უთვალავ ავტომობილთა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ქარავნები, მძიმედ მქშინავი ორთქლმავლები, ტლანქი ექსკავატორები, მძლავრი ამწეები და მრავალი სახელწოდების სხვა სამშენებლო მექანიზმები და მანქანები განსაკუთრებულ ელფერს აძლევენ ამ დიდ სამშენებლო ტერიტორიას, აძლიერებენ დიდი ინდუსტრიული მშენებლობის მაჯისცემას.

ქარხნის მახლობლად კი შენდება ლამაზი ქალაქი, შენდებიან მთელი კვარტალები, მოხდენილი არქიტექტურული სტილის სახლები. ლარივით სწორი ასფალტირებული ქუჩები ჰკვეთენ კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების მიხედვით ნაგებ სახლთა წყებებს. სწარმოებს ბაღებისა და პარკების გაშენება.

ახალ საცხოვრებელ სახლთა საფუძვლების ჩასაყრელად მიწის ამოღებისას ექსკავატორთა „ხორთუმები“ ხშირად წააწყდებიან ხოლმე უძველეს სამარხებს, შორეული წარსულის ნაგებობათა ნაშთებს. ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი შენდება ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ერთ დროს საქართველოს ეს ძველთაძველი გმირი ქალაქი ყოფილა.

* * *

საფიქრებელია, რომ ქალაქი რუსთავი წარმოიშვა ქართლში ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფო რელიგიის განმტკიცების შემდეგ, ალბათ ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის მომდევნო პერიოდში. როგორც ამას საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო მოგვითხრობს, ბიზანტიელი მწერლების მოწმობით მიწის დამუშავების ხელოვნება მეექვსე საუკუნეში დიდად განვითარებული ყოფილა ქართლის დაბლობ რაიონებში, სადაც გაყვანილი იყო სარწყავი არხები ყანებისა და ბაღების მოსარწყავად. ამ ხანებში უნდა იყოს გაყვანილი რუსთავის სარწყავი არხიც თბილისის მახლობლად. ეტყობა ეს სარწყავი არხები გაყვანილი იყო მეხუთე საუკუნის ბოლოს, ან მეექვსე საუკუნის დასაწყისში და შემდეგ დაწყებულ იქნა ბოსტანქალაქის, შემდგომში ქალაქ რუსთავის მშენებლობა.

საქართველოს ასაოხრებლად შემოჭრილ მტერთა ურდოები მრავალჯერ შესევიან ციხე-ქალაქ რუსთავს და დიდი ზიანი მიუყენებიათ მისთვის. რუსთავი საბოლოოდ დაანგრია და მიწასთან გაასწორა თემურლენგმა 1399-1400 წლებში. ამის შემდეგ ქართველთა ვერცერთმა მეფემ, თვით შორსმჭვრეტელმა ვახტანგ მეექვსემაც ვეღარ შესძლეს რუსთავის აღდგენა. ძველი ნაქალაქარი ადგილი ჯაგებით, ბუჩქებითა და ეკალ-ბარდით დაიფარა.

* * *

1944 წელს ამ ნაქალაქარზე მოვიდნენ სტალინური ეპოქის ადამიანები და შეუდგნენ მეტალურგიული გიგანტის აგებას, ხოლო მასთან ერთად ახალი ქალაქის მშენებლობასაც. ამჟამად რუსთავში უკვე მრავალი ასეული სახლია აგებული. საცხოვრებელი ფონდი აქ უკვე 80.000 კვადრატულ მეტრს აღწევს.

1945 წელს რუსთავში შეიქმნა სადაბო საბჭო, 1946 წელს — საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის რაიონული კომიტეტი.

რუსთავში აგებულია საშუალო სკოლის შენობა, სადაც ამჟამად 700 ბავშვი სწავლობს, კლუბი, საბავშვო ბაღისა და საბავშვო ბაგის შენობები, სააავადმყოფო, პოლიკლინიკა, აბანო. მოეწყო ტროპიკული სადგური, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა მალარიის კერების სალიკვიდაციოდ. რუსთავის მეტალურგმშენისა და მეტალურგიული ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილებებმა ფართოდ გაშალეს თავიანთი სავაჭრო ქსელი, რომელიც ამჟამად შეიცავს 20 მაღაზიასა და 25 საზოგადოებრივ სასადილოს.

ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი შენდება მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, რომელთაც ერთმანეთთან შეაერთებს დიდი და ლამაზი ხიდი. ქალაქის პროექტს ამუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საპროექტო სამმართველო, ხოლო ცალკე არქიტექტურული ანსამბლებისა და შენობების პროექტთა დამუშავებაში ჩაბმული არიან საქართველოს გამოჩენილი არქიტექტორები.

ამჟამად მშენებლობა სწარმოებს ქალაქის მარცხენა ნაწილში 300 ჰექტარ ფართობზე. აქ აშენდება 750 შენობა, მათ შორის 700 საცხოვრებელი სახლი და 50 სახლი საქალაქო დაწესებულებებისათვის. სულ რუსთავში, როცა ვისი აშენება დამთავრდება, იქნება 50.000-ზე მეტი მცხოვრები. მცხოვრებთა ნახევარზე მეტი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით — კოტეჯებით, რომელთა ირგვლივ გამოყოფილი იქნება 800-დან 1.200 კვადრატულ მეტრამდე მიწის ნაკვეთები ხეხილისა და ინდივიდუალური ბოსტნებისათვის. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ჩასახლდება ორსართულიან სახლებში. თვითეულ სახლში გაყვანილი იქნება ელექტროშუქი, გაზი. ყველგან მოეწყობა ორთქლით გათბობა. ქალაქი ჰარბად იქნება მომარაგებული მაღალხარისხოვანი წყაროს წყლით — ბულაჩაურის წყალსადენით, რომლის მშენებლობაც წარმატებით მიმდინარეობს.

რუსთავს ექნება კარგი საქალაქო ტრანსპორტი. ქალაქის სხვადასხვა უბნებს ერთმანეთთან დააკავშირებენ ტროლეიბუსები და ავტობუსები. მოეწყობა წყლის სპორტის სადგური, სტადიონი, მრავალი კლუბი, კინოთეატრები, საზაფხულო პარკები, მშრომელთა კულტურული დასვენების მრავალი კერა. განსაკუთრებით მრავლად იქნება რუსთავში მწვანე ნარგავები, რასაც ამთავითვე დიდი ყურადღება ექცევა. რუსთავის გამწვანების საკითხების მოწესრიგებაზე მუშაობს მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით. გადაწყვეტილია რუსთავში დაირგოს 60 სხვადასხვა ჯიშის ასეულ ათასობით ძირი მცენარე, ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რუსთავი ნამდვილი მწვანე ქალაქი-ბაღი გახდეს.

ჯერჯერობით ქალაქის მარცხენა მხარეს დამთავრებული და საცხოვრებლად გადაცემულია 15 სახლი, რომელთა საცხოვრებელი ფართობი 8.000 კვადრატულ მეტრს უდრის. მალე დამთავრდება კიდევ 112 საცხოვრებელი სახლის აგება 20.000 კვადრატული მეტრის მოცულობით. გარდა ამისა, მშენებლებს უკავიათ 70.000 კვადრატული მეტრის საერთო საცხოვრებელი ფართობის შემცველი შენობები.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე მომუშავეებმა ამხ. ლიხოტამ, მარკოვმა და გრიბოვმა სამ დღეში ამოიყვანეს რვაბინიანი სახლის პირველი სართული და გეგმა 200 პროცენტით შეასრულეს. ხის დამმუშავებელ ქარხანაში მომუშავენი ამხ. შუბითიძე, კაპილაშვილი და ტაბიძე ყოველდღიურ ნორმებს 150-170 პროცენტით ასრულებენ. თბოელექტროცენტრალის მშენებელთა ის ბრიგადები, რომელთაც ამხ. ჩაჩავა და ბასილაშვილი ხელმძღვანელობენ, მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ მაგალითებს გვაძლევენ და დავალებებს ორმაგი გადაჭარბებით ასრულებენ.

ქარხნის მოქმედ საამქროებში თავი ისახელეს ახალგაზრდა მჭედლებმა უსტიაშვილმა და მჭედლიძემ, ლითონკონსტრუქციათა ამწყობებმა — ერქომაიშვილმა, აბესაშვილმა, მექსკავატორებმა—მამალაძემ, როდიონოვმა, მეტრეველმა, დემეტრაშვილმა, ხარატებმა — შერაძემ, ხურციძემ და მრავალი სხვა პროფესიის ბევრმა წარმომადგენელმა.

* * *

სოციალისტურ რუსთავს აშენებს მთელი საქართველო, საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ხალხი. რუსთავის მშენებლებს შეფობენ ჩელიაბინსკის, მაკეევკის, ენაკიევოს და მთელ რიგ სხვა მეტალურგიულ საწარმოთა კოლექტივები. არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის თითქმის ყოველი კუთხიდან მოედინებიან რუსთავისაკენ უწყვეტ ნაკადად ათასგვარი ტვირთით სავსე სარკინიგზო ეშელონები.

რუსთავის მშენებლები განსაკუთრებული მადლობელი არიან საქართველოს კომკავშირისა, რომელმაც გასულ წელს მათზე შეფობა აიღო. საქართველოს კომკავშირელებმა რუსთაველებს საჩუქრად მიუძღვნეს 25.000 წიგნი, 16 ტონა ხილი და ბოსტნეული, მოაწყეს მათთვის 50 ლექცია და მოხსენება, მრავალი კონცერტი, გაუწიეს მრავალნაირი სხვა დახმარება.

ახალი სოციალისტური ქალაქის რუსთავის მშენებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ენერგიის დაუზოგავად იმუშაონ, რათა გაამართლონ ჩვენი ხალხის, ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი დიდი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის იმედები — დროულად ჩააყენონ მწყობრში რუსთავის მეტალურგიული გიგანტი.

გ. ზედგინიძე
საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის რაიკომის მდივანი

სოციალისტურ ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი ქუჩა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გამოჩენილი ფსიქიატრი

(10 წელი პროფესორ მიხეილ მიხეილის-ძე ასათიანის გარდაცვალებიდან)

დღეს სრულდება 10 წელი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა მკვლევარი და მეცნიერი პროფესორი მიხეილ მიხეილის-ძე ასათიანი.

პროფესორი მ. ასათიანი საქართველოს მეცნიერული ფსიქიატრიის ფუძემდებელია. ჩვენს მეცნიერებას მისი სახით ჰყავდა განსაკუთრებულად დახელოვნებული ფსიქიატრი კლინიცისტი და ბრწყინვალე მკურნალი-ფსიქოთერაპევტი. მ. ასათიანი, როგორც დიდი მკვლევარი, ფართოდაა ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის გარეთაც.

მ. ასათიანის მეცნიერული მუშაობის პირველი ნაბიჯები უშუალოდაა დაკავშირებული მოსკოვის ფსიქიატრიულ სკოლასთან, რომელსაც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა გამოჩენილი რუსი მეცნიერი პროფესორი ვ. სერბსკი. ჯერ კიდევ მოსკოვის კლინიკებში მუშაობის პერიოდში მ. ასათიანმა მიიპყრო მაშინდელი მეცნიერული წრეების ყურადღება, როგორც მეტად დაკვირვებულმა, ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდამ. მისი ნაშრომები: „ჰანსერის სიმპტომის ფსიქიური მექანიზმების საკითხისათვის", „პირობითი რეფლექსების გამოყენება ფსიქონევროზების სიმპტომების ასახსნელად", „ბაბინსკის პითიატიზმის შესახებ" და სხვები წარმოადგენენ ისეთ შენაძენს იმდროინდელი ფსიქიატრიისათვის, რომ მათი ავტორი საყოველთაოდ ცნობილ იქნა ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკად, რომელსაც შემდგომი მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე დიდ მომავალს უქადდა. მ. ასათიანმა 1913 წელს პირველმა, როგორც ამას დიდი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი ბეხტერევი ადასტურებს, თავის ერთ-ერთ ნაშრომში („პირობითი რეფლექსების გამოყენება ფსიქონევროზების სიმპტომების ასახსნელად") გამოიყენა აკადემიკოს პავლოვის მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ ფსიქონევროზების სტრუქტურის ახსნისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მ. ასათიანი მთელი ენერგიით აწარმოებს პედაგოგიურ მუშაობას. ამ პერიოდისათვის იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერი და მკვლევარია; მისი მეცნიერული ავტორიტეტი სცილდება მოსკოვის ფარგლებს. მ. ასათიანი ცნობილი ხდება მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც საუკეთესო ფსიქო-თერაპევტი და ნევროზების დიდი სპეციალისტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მ. ასათიანი თბილისისაკენ მოეშურება. აქ იგი ინიშნება სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიატრიული კლინიკის გამგის თანამდებობაზე. ახლად ჩამოყალიბებულ კლინიკაში ის დიდი ენთუზიაზმით უდგება დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას.

საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით და ხელისშეწყობით მ. ასათიანმა დააარსა საქართველოში ფსიქიატრიის ინსტიტუტი, ჩამოაყალიბა ფსიქიატრიული კლინიკა, დანერგა რესპუბლიკაში ფსიქიურ ავადმყოფობათა რაციონალური, თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე მდგარი მკურნალობის წესები, შექმნა მაღალი კვალიფიკაციის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და საფუძველი ჩაუყარა ბავშვთა ფსიქიატრიას.

პროფესორ მ. ასათიანის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან შექმნა საბჭოთა საქართველოში ფსიქიატრიული სკოლა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. მის მოწაფეთა შორის, რომელთა რიცხვი 36 აჭარბებს— ხუთი უკვე მედიცინის დოქტორი-პროფესორია, ხოლო 15 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი.

მ. ასათიანის კალამს 30-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის. ყველა ამ ნაშრომში ნათლად ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია და საკითხების ორიგინალური დამუშავების უნარი. მ. ასათიანის ერთ-ერთი კაპიტალური ნაშრომია მონოგრაფია „ფსიქონევროზები". ამ მონოგრაფიაში ავტორი განსაკუთრებული სიღრმითა და დამაჯერებლობით აყენებს საკითხს ფსიქოფიზიოლოგიური პლასტიკობის შესახებ. ადამიანის ფსიქიკის ეს თვისება ფსიქიატრიულ ლიტერატურაში პირველადაა აღნიშნული და მატერიალისტურად ახსნილი მ. ასათიანის მიერ. ავტორის ნაშრომთა მეორე ჯგუფი ეხება ორგანული ფსიქიატრიის საკითხებს. ფართოდაა ცნობილი და დამსახურებული ყურადღებით სარგებლობს მ. ასათიანის ნაშრომები ინფექციური და ინტოქსიკაციური ფსიქოზების შესახებ: „პელაგროზული ფსიქოზის სტრუქტურისათვის", „მალარიული სომნამბულიზმის საკითხისათვის" და სხვ.

თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში მ. ასათიანი ამუშავებდა ცნობიერების მდგომარეობის საკითხებს სხვადასხვა ფსიქოზების დროს, მაგრამ უდროო სიკვდილმა არ დააცალა საბოლოო დასკვნების გამოტანა.

სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად პროფესორი მ. ასათიანი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი.

ჩვენს დიად სამშობლოში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ პროფესორ მიხეილ მიხეილის-ძე ასათიანის მოწაფეებმა ღირსეულად განაგრძონ და განავითარონ თავისი საამაყო მასწავლებლის საქმე.

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. დ. ზურაბაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ტ. მენთეშაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქ. გ. გობრონიძე, დოცენტი ზ. მ. შენგელაია.



ქუთაისის აბრეშუმკომბინატის საპენიაჟო ფაბრიკის კოლექტივი შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სურათზე: შეჯიბრებაში დაწინაურებული მქსოველი ლ. მანაგაძე ხავატერო მანქანაზე მუშაობისას.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ხუთწლედი—ოთხ წელიწადში!

ახალი წელი საწარმოო აღმავლობით დაიწყო

ახალი წელი კარგად დაიწყეს სამხრეთ ოსეთის საწარმოებმა. იანვრის პირველი დღეებიდანვე დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას სტალინირის ხე-ტყის კომბინატი. კომბინატის საავეჯო საამქრომ იანვრის პირველი დეკადის დავალება ორმაგად გაანაღდა. ამ საამქროს სტახანოველი, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატი ნ. ვანეევი დღიურ დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებს. კომბინატის სახერხი საამქროს სტახანოველები რ. ცხოვრებოვი და მ. სმელოვა ორმაგად ასრულებენ გეგმებს.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის დავალება 25 ნოემბრისათვის შეასრულა გრომის ნავთსაძიებო უბანმა. აქ გაბურღვა ჩატარდა 1.700 გრძივ მეტრზე. არც შემდგომში შეუნელებიათ მუშაობის ტემპი გრომელ ნავთმაძიებლებს. ახალი წლის პირველ დღეებში მათ საამაყო მაჩვენებლები მოიპოვეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბურღვის ოსტატმა ს. კოჩიევმა. მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის იგი ამომრჩევლებმა 11 იანვარს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სტახანოვურად მუშაობს ნავთსაძიებო უბნის ცნობილი მბურღავი გ. საგოიანი. მისი ყოველდღიური საწარმოო მაჩვენებელია 300-350 პროცენტი. უკანასკნელ დღეებში სტახანოველთა რიგებში ჩადგა მბურღავის თანაშემწე კ. თუაევი. იგი ახლა ორასოვანია. 200 პროცენტით ასრულებს დღიურ დავალებებს აგრეთვე მბურღავი ნ. სუკმანოვი. ნავთმაძიებლები ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის იბრძვიან.

შრომითი აღმავლობაა წნელისის ტალკის ქარხანაში. ეს ქარხანა ძვირფას ნედლეულს აწვდის ჩვენს მრეწველობას.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება მნიშვნელოვნად გაადიდეს სტალინირის არტელ „წითელი ოქტომბერის" საწარმოებმაც.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ტყვარჩელელი მეშახტეები ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას

ტყვარჩელელი მეშახტეები ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობენ. სტალინის სახელობის შახტის ყველა უბანი იანვარში სადღეღამისო გეგმის გადამეტებით იძლევა ქვანახშირს. შახტმა ნახევარი თვის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა — 102,7 პროცენტით.

დაწინაურდა შახტის პირველი უბანი, რომელსაც მ. სიმონიშვილი ხელმძღვანელობს. ამ უბნის მეშახტეებმა ნახევარი თვის გეგმა 111 პროცენტით გაანაღდეს. ცვლაში ოც-ოცდახუთ ტონა ქვანახშირს იღებენ გეგმის გადამეტებით მეოთხე, მეხუთე და მერვე უბნები. ნ. აგარკოვისა და ს. ბოგატიროვის მნგრეველთა ბრიგადებმა იანვრის გეგმა უკვე შეასრულეს. მნგრეველი ა. მაქაცარია, მბურღავი ნ. ისტომინი, საყელავი მანქანის მემანქანე ბაკუროვი, ელექტრომავლის მემანქანე ბ. გაგუა ცვლის ნორმებს 130-140 პროცენტით ანაღდებენ. მოწინავეა გუგუშელის უბანიც.

გარდატეხა ქვანახშირის მოპოვებაში დეკემბრიდან დაიწყო. დეკემბერ-იანვარში შახტში შრომის ნაყოფიერება 1,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 82 კაპიკით შემცირდა.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მკითხველთა წერილები

ფქვილისა და პურის გადაზიდვის მოწესრიგებისათვის

ჩვენი პარტიისა და მთავრობის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილებამ მოითხოვა საქპურტრესტის სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა, რამდენადაც მას უხდება თბილისის ფარგლებში ფქვილისა და გამომცხვარი პურის გადაზიდვა ელევატორიდან ქარხნებამდე და ქარხნებიდან პურის სავაჭრო მაღაზიებამდე. სადღეღამისო ტვირთზიდვა გაორკეცდა და მიაღწია ომამდელ დონეს. ამჟამად 20-25 ავტომანქანა ყოველდღიურად დაკავებულია გამომცხვარი პურის გადაზიდვაზე, ხოლო 10-15 მანქანა ფქვილის გადაზიდვაზე. ავტომანქანები განუწყვეტლივ მუშაობენ. ტვირთის დღიური გადაზიდვა 500 ტონას აჭარბებს.

მიუხედავად იმისა, რომ სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის მუშაკები მუდამ ზრუნავენ ტვირთზიდვის გაძლიერებისა და მანქანების მოცდენების ლიკვიდაციისათვის, მაინც ადგილი აქვს სერიოზულ სიძნელეებს, რაც გამოწვეულია თბილპურვაჭრობის ცუდი მუშაობით. თბილპურვაჭრობა სისტემატურად არღვევს მოქმედ წესს ტრანსპორტზე წინასწარი განაცხადის წარმოდგენის შესახებ. მისი განაცხადები სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორაში მოდის დიდი დაგვიანებით, ამასთან ისინი დაუმუშავებელია. მათში არ არის აღნიშნული ამა თუ იმ მაღაზიის მოთხოვნილება პურის რაოდენობაზე. ამის შედეგად უკანასკნელ ხანებში გახშირდა ტრანსპორტის უსაფუძვლო გაგზავნისა და მოცდენების შემთხვევები. 1-დან 7 იანვრამდე ჩვენს მიერ შედგენილ იქნა 156 აქტი პურის მაღაზიების მიერ მიტანილი პურის მიღებაზე უარის თქმის გამო. ორ იანვარს თბილპურვაჭრობის № 38 მაღაზიას დარჩენილი ჰქონდა გასაყიდად 2,5 ტონა პური. თბილპურვაჭრობამ გამოგზავნა განაცხადი მისთვის დამატებით მიგვეტანა 2,5 ტონა. ასეთივე შემთხვევა განმეორდა № 142 მაღაზიის მიმართაც. № 45 მაღაზიას მოცემული ფაქტურის თანახმად 3 იანვარს ჩვენი მანქანით მივუტანეთ 1.000 კილოგრამი პური. მიტანისას აღმოჩნდა, რომ პურის დასაწყობი ადგილი მაღაზიას არ ჰქონდა, რის გამოც იძულებული ვიყავით დატვირთული მანქანა უკანვე ქარხანაში გაგვებრუნებინა. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც მაღაზიებში მიგვაქვს პური, ხოლო ისინი დაკეტილია. მაგალითად, 7 იანვარს 24 საათსა და 10 წუთზე № 54 მაღაზიას მივუტანეთ 1.500 კილოგრამი პური, მაგრამ იგი დაკეტილი აღმოჩნდა. იმ ღამეს სამჯერ მივიდა დატვირთული მანქანა ამ მაღაზიაში, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ 8 იანვარს დილის 7 საათსა და 45 წუთზე გახდა შესაძლებელი მეოთხედ მიტანისას მიეღოთ ამ მაღაზიაში პური. ასეთი შემთხვევები ბევრია. მანქანების მოცდენების გამო შედგენილი 156 აქტით თბილპურვაჭრობას წარდგენილი აქვს 30.512 მანეთის ჯარიმა.

თუ ახლა ზოგიერთ მაღაზიაში პურის უქონლობის გამო რიგები იმართება, ეს შედეგია არა იმისა, რომ ქარხნებში გამომცხვარი პური არაა და ტრანსპორტი ვერ უზრუნველჰყოფს მის გადატანას, არამედ ესაა თბილპურვაჭრობისა და მისი ქსელის (მაღაზიების) უხეირო მუშაობის შედეგი.

საჭიროა თბილპურვაჭრობის ხელმძღვანელობამ ჩვენთან ერთად დააზუსტოს ყოველი დღის საღამოსათვის მანქანებზე განაცხადები, გააფრთხილოს თავისი მაღაზიები, რომ მზად იყვნენ მიტანილი პურის მისაღებად და სისტემატურად ადევნოს თვალყური, რათა პირველ რიგში განუწყვეტლივ მარაგდებოდნენ პურით ის მაღაზიები, რომელთაც მეორე დღისათვის პურის ნაშთი არა აქვთ ან აქვთ უმნიშვნელო რაოდენობით.

ჩვენი მხრივ კი მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ ტრანსპორტი შეუფერხებლად ასრულებდეს თბილპურვაჭრობის შეკვეთებს ფქვილისა და პურის გადაზიდვაზე.

ა. ბათიაშვილი

საქპურტრესტის სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის უფროსი

საფოსტო განყოფილებამ მუშაობა უნდა გააუმჯობესოს

კავშირგაბმულობის წალკის რაიკანტორა (უფროსი კ. გურგენოვი) ცუდად მუშაობს. რაიონში ტელეფონის 22 აპარატი უმოქმედოთაა. ახსარვანის და ბაშკოვის სასოფლო საბჭოს ტელეფონები 3 თვეზე მეტია დაზიანებულია. 200 რადიოწერტიდან რაიონში 50 სდუმს. ტელეფონისა და რადიოაპარატების დაზიანების სალიკვიდაციოდ თავს არავინ იწუხებს.

უფრო ცუდადაა დაყენებული ჟურნალ-გაზეთებისა და კორესპონდენციების ჩაბარების საქმე. 24 დეკემბერს დამტარებელ ფ. სპიროვს აღმოაჩნდა 36 წერილი, რომელიც მიღებული ჰქონდა 1947 წლის 20 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე. თბილისიდან 19 ნოემბერს გაგზავნილი № 616 შეკვეთილი წერილი 24 დეკემბერს ჩაუბარებელი იყო ადრესატისათვის. შეკვეთილი წერილი № 277 თბილისიდან წალკაში 13 ნოემბერს მიიღეს, მაგრამ ადრესატს 1 თვისა და 2 დღის შემდეგ ჩააბარეს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თბილისიდან წალკის სოფლის მეურნეობის განყოფილების სახელზე 2 დეკემბერს გაგზავნილი წერილი 20 დღე გააჩერეს ჩაუბარებელი. ასეთი მაგალითები ბევრია. ჟურნალ-გაზეთები მთელი კვირაობით აწყვია ფოსტაში.

წალკის საფოსტო განყოფილების მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას.

დ. კომახიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ლეო. ქიაჩელი

ჯოტოს მამა

რომანი

შესავალი

ვინ დასთვლის, რამდენი სოფელია ქვეყანაზე?

რა თქმა უნდა, ბევრთა ბევრი და კიდევ მეტი. სავალდებულოც რომ იყოს, შეუძლებელია ყველას სახელის დამახსოვრება.

რამდენი ადამიანი ცხოვრობს ქვეყნად, მაგრამ რა მცირეა იმათი რიცხვი, ვისაც ჩვენ ვიცნობთ ან ვისი სახელიც გაგვიგონია.

ასეა სოფელიც.

ხოლო არიან ადამიანები, რომლების ცნობა აუცილებელიც არის და სავალდებულოც.

ასეთი სოფლებიც არსებობენ.

დრო-დრო ისე ხდება ხოლმე, რომ გარემოება ისტორიის მორევის ზედაპირზე რომელსამე სახელს ამოატივტივებს — სულ ერთია სოფლის იქნება იგი, დაბის თუ ქალაქის,—და, მანამდე გაუგონარი, უცნობი,—უეცრად საყოველთაო ყურადღების საგნად იქცევა, შემოივლის კუთხით კუთხემდე რადიოს ქსელებს, გაზეთების ფურცლებს, კლუბებს, ქუჩებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ყველა სოფელს, გინდ ქალაქს, ასე ვთქვათ, რიგრიგობით კი არ სწყალობს ბედი,—ვითომ დღეს რომ ერთი გაითქვამს სახელს, ხვალ—მეორე, მერე—მესამე და ასე ბოლომდის.

რასაკვირველია, არა.

მეტად იშვიათი გამონაკლისის სახით და ძუნწად ხდება ხოლმე სახელის გამოჩენა ისტორიაში.

* * *

საქართველოს ხეობათა შორის ბზიფის ხეობა ყველაზე უფრო უგზო და უდაბურია.

ამ ხეობის განაპირას, ჩრდილოეთის მხრით, დასავლეთი კავკასიონის პირაქეთ გადმოშვერილი კალთების მიჯნაზე, სადაც სანჭაროს უღელტეხილის მისადგომი იწყება, ერთადერთი პატარა სოფელი მდებარეობს, სახელად სოუ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლის არსებობა ჩვენს დროში უკანასკნელ მეორე მსოფლიო ომამდე იშვიათად თუ ვინმემ იცოდა, მისი სახელი იშვიათად თუ ვისმე გაეგონა ბზიფის ხეობის გარეთ.

მაგრამ დადგა ათას ცხრაას ორმოცდაერთი წელი, ფაშისტური გერმანია მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

ორმოცდაორს იგი დასავლეთ კავკასიონს მოადგა. დაიკავა ურჯუმის მთაგრეხილი და სანჭაროს უღელტეხილით ბზიფის ხეობაში გადმოვიდა.

აქ სოფელი სოუ აიღო.

უეცრად საყოველთაოდ აშკარა გახდა, რომ აქამდე უცნობი ცხრა მთას იქით გადაკარგული სოუს მტრის მიერ დაპყრობა უდიდეს უბედურებას ნიშნავდა:

სოუს სახით მტრის ხელში უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული კვანძი გადავიდა, რომელშიაც თავს იყრიან დასავლეთი კავკასიონის უღელტეხილების დამცველი ბუნებრივი სტრატეგიული ხაზები.

დამპყრობს გზა ეხსნებოდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსკენ, ვიდრე ლიხამდე.

მდგომარეობა მძაფრი და ფიცხელი სამხედრო ღონისძიების მიღებას მოითხოვდა.

ხანმოკლე, მაგრამ მით უფრო დაძაბული და სამკვდრო-სასიცოცხლო იყო ბრძოლა, რომელიც სახელოვანი საბჭოთა ჯარის გმირულმა ნაწილებმა მომხდურ მტერს სოფელ სოუსთან გაუმართეს.

მტერი უკუიქცა.

ელვის უსწრაფესად მოედო ეს ამბავი მთელ ქვეყანას.

სად იყო, სად არა, ბზიფისა და კავკასიონის მიუვალი მთების ორწოხებში მიჩქმალული სოუს სახელი მოულოდნელად გვერდში ამოუდგა კაცობრიობის უახლესი ისტორიის გარდატეხაში მონაწილე სახელებს.

„სოუს ბრძოლა", — იუწყებოდნენ ყველა ქვეყნის ინფორმაციები.

„სოუ", — გაჰყვიროდა რადიო კუთხით კუთხემდე.

„სოუ", — იმეორებდნენ დეპეშები ქალაქად.

„სოუ", — გადასძახოდნენ ერთმანეთს ორღობეები სოფლად.

ხოლო ესოდენი სახელის მოხვეჭა სოუს მეტად ძვირად დაუჯდა. მტრის წინააღმდეგ მიტანილ იერიშებს საუკეთესო სოუელი ვაჟკაცები შეეწირნენ, რომლებიც წითელი ჯარის მეომრების მხარდამხარ იბრძოდნენ.

საუკუნო იყოს ხსენება გმირების, რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილი ჰპოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს.

დიდება გმირებს.

თავი პირველი

ომის წინადღე იყო, მაგრამ არავითარი ნიშანი არ სჩანდა იმისა, რომ ომი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივი თვალით იგი არსად დაინახებოდა. არ დაინახებოდა განსაკუთრებულად სოფელ სოუში, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი იყო.

მიუხედავად ამისა, სოუში მაინც ხმა ირხეოდა, ომი იქნებაო.

ყველაზე მეტად ეს გარემოება სოუს მცხოვრებ ბათუ ქარდუას აკვირვებდა, რომელიც ბზიფში უფრო მთის კაცის სახელწოდებით იყო ცნობილი, ვინემ ნამდვილი სახელითა და გვარით.

იგი ვერ მიმხვდარიყო, საიდან და რა გზით ვრცელდებოდა ასეთი ხმა გაუვალი ტყეებით დაბურულ და მიუდგომელი მთებით გარშემორტყმულ პატარა სოფელში. მისი ანგარიშით, თუ შეიძლებოდა აქ ვისმე რამე სცოდნოდა ომზე, ეს თვითონ იყო უწინარესად ყოვლისა: გარდა იმისა, რომ მას გაზეთები მოსდიოდა, ხშირად სოხუმში უხდებოდა ყოფნა, სადაც მისი ვაჟი სწავლობდა.

მთის კაცად წოდებული ეს ბათუ ქარდუა ნამწყემსარი იყო და ნამეჯოგარი, ბევრგან ნამყოფი, ბევრის მნახველი. მას სწორუპოვარი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაცობასა და ცხენოსნობაშიც ბადალი არ ჰყავდა მთაში, თუმცა სამოცი წელი უსრულდებოდა.

ის უთუოდ ამაყობდა ხალხის მიერ შერქმეული იშვიათი და საპატიო სახელწოდებით. მაგრამ მის გულს უფრო ის უხაროდა, რომ შინაურები და მეგობრები ჯოტოს მამას ეძახდნენ, ისე მოსწონდა თავი ერთად-ერთი მოსწრებული და სახელოვანი ვაჟით, რომელსაც ჯოტო ერქვა.

ჯოტო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო და კომკავშირის საოლქო ორგანიზაციის ერთ-ერთ სახელმოხვეჭილ მუშაკად ითვლებოდა.

მთის კაცი მიუხედავად უსწავლელობისა, ცოდნის მოყვარული იყო და ნასწავლ შვილთან პოლიტიკურ საკითხებზე გასაუბრება უყვარდა.

ჯოტოს მამის დიდი პატივისცემა ჰქონდა. იცოდა მისი ცოდნისმოყვარეობის ამბავი და ყოველ შეხვედრაზე წვრილად ესაუბრებოდა მისთვის საინტერესო საგნებზე. ამის გარდა, შინ უწყვეტად უგზავნიდა სოხუმიდან გაზეთებს და მისთვის გასაგებ საკითხავ წიგნებს.

საგულისხმიერო აქ ის იყო, რომ თუმცა თვითონ მთის კაცმა წერა-კითხვა არ იცოდა და ხელის მოწერას ძლივს ახერხებდა, მაინც არც ერთი ცნობა, ჯოტოს გამოგზავნილ გაზეთში დაბეჭდილი, მას არ გამორჩებოდა.

მაგრამ ეს სასწაული არ იყო.

მთის კაცს შინ გაზეთის ჩინებული წამკითხველი ჰყავდა: წიგნის დიდი მოყვარული და მცოდნე, მისი ნათლული და გაზრდილი მანუჩა-მწყემსი, რომელიც პატარაობიდან მას ერთგვარ მდივნობას უწევდა.

მთის კაცს როგორც შვილის, ისე მისი გაზრდილი ნათლულის დიდი დაჯერება ჰქონდა, ხოლო ეს ხელს არ უშლიდა ზოგიერთ საკითხზე თავისი აზრიც ჰქონოდა და ახალგაზრდებთან მკაცრი კამათიც კი გაემართნა, რაც მეტად უყვარდა.

— ერთიც ვნახოთ, ჩემო მწიგნობარო,—მიმართავდა იგი ბოლო დროს სოფლად ომზე მოარული ჭორების შესამოწმებლად მანუჩას, — ერთიც ვნახოთ და, მართლაც, ჩვენ მიერ შეძულებული ის კაციჭამია კაპიტალისტები, ახლა რომ ევროპაში ერთმანეთს ებრძვიან, შერიგდნენ, შეერთდნენ და თავს დაგვესხნენ! მაშინ რას შვრებით ბოლშევიკები?

— ვიომებთ, ჯოტოს მამავ! ვიომებთ და მერე როგორ? ან რატომ არ უნდა ვიომოთ? იარაღი არ გვაქვს და წითელი ჯარი არ გვყავს თუ? ჯავრი ნუ გაქვს, გავიმარჯვებთ!

— ჯოტოც ამას ამბობს, გავიმარჯვებთო. მაგრამ რა იცით, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ? წინასწარ ამის თქმა ძნელია, ჩემო მანუჩა.

— ჩვენ სულ სხვა ვარსკვლავზე დაბადებული ხალხი ვართ, მთის კაცო! დამარცხება არ გვიწერია!

ეს მანუჩა-მწყემსი ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, მეტად საინტერესო და ახირებული კაცი იყო. მას ორი ნიშნით იცნობდნენ ბზიფის ხეობაში. ერთი იყო გარეგნული, შესახედაობითი, მეორე—შინაგანი, სულიერ-გონებრივი.

გარეგნულად მანუჩა ჩია კაცი ჩანდა. ბეჭში კუზიანივით იყო წახრილი. წვრილი, წიპწოპა პირისახე, გარდა თვალებისა და ცხვირის, შავი ბალნით ჰქონდა დაფარული. თუ არა საკვირველად გონიერი, სანდო და უაღრესად კეთილი დიდრონი შავი თვალები, უცნობი პირველ შეხედვაზე უფრო ტყიურს მიამსგავსებდა.

მხარბეჭის ნაკლი რომ დაეფარა, მანუჩას ზურგზე მუდამჟამ მოსხმული ჰქონდა ხბოს წითურბეწვიანი ტყავის ქურთუკი, თასმისაგან გამონასკვნილი მომსხო ღილკილით მკერდზე ერთგან შეკრული. ქურთუკს ზურგის მხრით, შუა ადგილას, დაღივით აჯდა ტყავს ბუნებრივად დაყოლებული, ქათქათა თეთრი ფერის ადამიანის ხელის გაშლილი მტევანი, ხუთივე თითის უსწორესი გამოსახულებით. მეორე ასეთი ნიშნიანი ქურთუკი არავის ეცვა მთაში, და მანუჩა-მწყემსს ამის წყალობით შორიდანაც კი ადვილად სცნობდნენ როგორც ადამიანები, ისე ნახირიც.

მაგრამ მანუჩას იშვიათი შინაგანი თვისებებითაც იცნობდნენ ყველგან. მისი ნათლია ტყუილად არ უწოდებდა მას მწიგნობარს. თუმცა მანუჩა სკოლაში ნასწავლი არ იყო, ბავშვობიდან სულ ჯოგში იზრდებოდა და ახლაც სოუს კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმაში მწყემსად მუშაობდა, მაგრამ მისი წრისა და ხელობის კაცისათვის უჩვეულო გონებაგახსნილობას ამჟღავნებდა. საცა უნდა ყოფილიყო ან რა საქმეც ჰქონოდა, ის უწიგნოდ არასოდეს რჩებოდა. მისი მწყემსური აბგის ერთ თვალში რომ საგზალი ელაგა, მეორე საყვარელი წიგნებით სავსე დაჰქონდა.

გარეგნობა ხელს არ უშლიდა მანუჩას მიმზიდველი, საყვარელი და გავლენიანი ყოფილიყო იმ წრეში, რომელშიც ტრიალებდა. კოლმეურნეობამ და მისმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ადრევე დაუფასეს მანუჩას მისი ღირსება: მოწინავე მწყემსის საპატიო სახელწოდება მიანიჭეს და ფერმის პარტიულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებული მწყემსთა კულტურულ-განმანათლებელი წრის ხელმძღვანელობა მიანდეს, რასაც იგი იშვიათი გულმოდგინებით ასრულებდა.

მთის კაცის საყვარელი ვაჟი ჯოტო კი განსაკუთრებულად იყო დავალებული მანუჩას წინაშე. გარდა იმისა, რომ სკოლაში მიბარებამდე მისი პირველი მასწავლებელი მანუჩა იყო, წიგნის კითხვის სიყვარული და ჩვევა მისგან ჰქონდა შთაგონებული. მანუჩას ეს თავის დიდ დამსახურებად მიაჩნდა და ამაყობდა კიდევაც, რომ მისი შეგირდი ჩინებული და მთელ კუთხეში სახელმოხვეჭილი კაცი დადგა.

მადლიერი ჯოტო იმით უხდიდა სამაგიეროს თავის მეგობარსა და ყოფილ მასწავლებელს, რომ მამის ამანათში ყოველთვის სდებდა მანუჩასათვის განკუთვნილ და მისთვის საინტერესო ლიტერატურასაც, პარტიულ-აღმზრდელობითი, თუ რევოლუციურ-ისტორიული ხასიათისას.

მაგრამ მანუჩასათვის არც ის იყო უცხო და უგულვებელი, რასაც შვილი საკუთრივ მამას უგზავნიდა.

ჯოტომ კი კარგად იცოდა, რომ მამამისის გულისყურს ამ ხანდაზმულობისას ყველაზე უფრო ორი დიდი საგანი იტაცებდა, რომლებიც ერთმანეთისაგან ისე იყვნენ დაშორებულნი, როგორც ცა და დედამიწა.

ერთი იყო პოლიტიკა, ხოლო მეორე ასტრონომია,—ე. ი. ის, თუ რანაირი იყო საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა, პირისპირ სხვა სახელმწიფოებისა, და რას წარმოადგენდა სამყარო, განსაკუთრებით კი დედამიწა, რომელზედაც იგი ცხოვრობდა.

(გაგრძელება იქნება)

ავსტრიის დემილიტარიზაციის შესახებ

გენერალ-პოლკოვნიკ კურასოვის განცხადება ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოში

ვენა, 17 იანვარი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში გენერალ-პოლკოვნიკმა კურასოვმა განცხადება გააკეთა სამოკავშირეო საბჭოში.

სამოკავშირეო საბჭოს 1947 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე, სთქვა კურასოვმა, ამერიკის წარმომადგენელმა ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მხარდაჭერით კატეგორიული უარი განაცხადა განეხილა ავსტრიის სამხედრო მრეწველობის დემილიტარიზაციის გატარების ღონისძიებანი და წინადადება წამოაყენა კვლავ გადადებულიყო ეს საკითხი გაურკვეველი ვადით.

საბჭოთა წარმომადგენელს არ შეუძლია გვერდი აუაროს ამერიკის, აგრეთვე ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა ამ პირდაპირი უარის ფაქტს, რომ მათ განიხილონ, თუ როგორ სრულდება ავსტრიაში გერმანიის დამარცხების დეკლარაციის პირობები, რაც ხელმოწერილია ბერლინში 1945 წლის 5 ივნისს, ესე იგი, განიხილონ საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

სამოკავშირეო კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აღნიშნული დეკლარაციის პირობათა დაცვა ავსტრიაში, როგორც ამის შესახებ არის ნათქვამი 1946 წლის 28 ივნისის შეთანხმებაში ავსტრიაში საკონტროლო მექანიზმის შესახებ.

ცნობილია, რომ ჰიტლერულმა გერმანიამ ავსტრია გადააქცია თავის სამხედრო არსენალად, ააგო ან გამოიყენა აქ ანშლუსის პერიოდში დიდძალი სამხედრო საწარმოები, რომლებიც ამზადებდნენ თვითმფრინავებს, ტანკებს, იარაღს, სამხედრო ხომალდებს, საომარ მასალას, ქვემეხებს და აწარმოებდნენ სამხედრო-სტრატეგიული ნედლეულის მოპოებას ჰიტლერული არმიისათვის.

ამრიგად ამ ქვეყანაში შექმნილი იყო უდიდესი სამხედრო მრეწველობა, რომელიც ემსახურებოდა ჰიტლერულ არმიას მის ომში მოკავშირე და გაერთიანებული ერების წინააღმდეგ.

მარტო ინფორმაციის გაცვლით მაოკუპირებელ სახელმწიფოთა შორის ავსტრიის ტერიტორიაზე აღრიცხულია 600-მდე ასეთი სამხედრო საწარმო. ამის გამო ავსტრიაში ყოფილი სამხედრო ქარხნების დემილიტარიზაციის განხორციელების დიდი მნიშვნელობა თავის დროზე ცნობილ იქნა ოთხივე მაოკუპირებელი სახელმწიფოს მიერ, რომლებმაც ავსტრიაზე გაავრცელეს მოქმედება დეკლარაციისა გერმანიის დამარცხების შესახებ და საკონტროლო მექანიზმის შესახებ 1946 წლის 28 ივნისის დეკლარაციით იკისრეს ვალდებულება გაეტარებინათ შეთანხმებული ღონისძიებანი ამ დეკლარაციის განსახორციელებლად ავსტრიის ტერიტორიაზე.

ეს ვალდებულებანი თანმიმდევრულად და ბოლომდე შეასრულა მხოლოდ საბჭოთა სარდლობამ თავის საოკუპაციო ზონაში. კერძოდ, საბჭოთა ზონაში მთლიანად არის მოსპობილი 20-ზე მეტი დიდი მიწისქვეშა სამხედრო ქარხანა და სხვა სამხედრო ობიექტები, მათ შორის ისეთები, როგორიცაა მიწისქვეშა საავიაციო ქარხანა „ფლუგცაიგვერკე" ნოინკირჰენში, მიწისქვეშა ბურთულსაკისარების ქარხანა როგენდორფში, მიწისქვეშა საავიაციო ქარხანა სანტგეორგენში, სატანკო ქარხანა „ნიბელუნგენვერკეს" მიწისქვეშა საამქროები სანქტ-ვალენტინში, ყუმბარების დამამზადებელი ქარხანა ენცესფელდში, სავაზნე ქარხანა ხირცენბერგში და მთელი რიგი სხვა ქარხნები. საბჭოთა სარდლობამ ავსტრიის ხელისუფალთ გადასცა მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო აეროდრომები. ეს აეროდრომები მოსპობილია, ხოლო მოედნები, რომლებზეც ისინი იყო მოთავსებული, გამოყენებულია ნათესებისათვის.

საბჭოთა ზონაში ყოფილი სამხედრო მრეწველობის სრული დემილიტარიზაციის ფაქტი დადასტურებულია ოთხმხრივი კომისიის მიერ.

რაც შეეხება სხვა მაოკუპირებელ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ამერიკასა და ბრიტანეთს, მათ, როგორც ფაქტები მოწმობენ, უხეშად დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებანი და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის რომ არ დაეშვათ თავიანთი ზონების სამხედრო მრეწველობის ნამდვილი დემილიტარიზაცია და ჩაეშალათ ამ საკითხზე ერთობლივად მიღებულ ოთხმხრივ გადაწყვეტილებათა შესრულება.

ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენელთა მიზეზით სამოკავშირეო საბჭომ დღემდე ვერ შესძლო მიელო გადაწყვეტილება ავსტრიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის შეზღუდვის საკითხზე. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 1946 წელს შეტანილი საბჭოთა წინადადება წააწყდა ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ზონებში მდებარე სამხედრო საწარმოთა სამ მეოთხედს ომის დროს არავითარი ნგრევა არ განუცდია, მათმა უმრავლესობამ შეინარჩუნა თავისი საწარმოო სიმძლავრე და მოწყობილობა. უფრო მეტიც, ზოგიერთმა სამხედრო საწარმომ კიდევაც განაახლა მოწყობილობა და ღონისძიებები გაატარა წარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, სთქვა შემდეგ კურასოვმა, რომ მრეწველობის აღდგენის საზიანოდ, რომლის ახლანდელი დონეც ვერ ფარავს ავსტრიის ეკონომიკის მინიმალურ მოთხოვნილებას, დასავლეთ ზონებში მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება ყოფილი გიგანტური სამხედრო საწარმოების გაფართოებისა და გადაკეთებისათვის, რომლებიც გერმანელებმა ააგეს სტრატეგიული ნედლეულითა და საჭურველით ჰიტლერული არმიის უზრუნველყოფის მიზნით. ეს საწარმოები პირველ რიგში იღებენ ქვანახშირს, ელექტროენერგიას, ნედლეულს, აგრეთვე დოლარის კრედიტს და სხვა დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, მაშინ როცა მრეწველობის სამშვიდობო დარგები, განსაკუთრებით ავსტრიის აღმოსავლეთ ნაწილში, სათბობის, ელექტროენერგიისა და ნედლეულის მწვავე კრიზისს განიცდიან.

ახლა ხდება აღდგენა და მოდერნიზაცია ისეთი დიდი საწარმოებისა, როგორიცაა ყოფილ კონცერნ „გერმან გერინგის" კომბინატი ლინცში და ალუმინის ქარხნები ბრაუნაუში, რომლებიც გერმანელებმა ააგეს სპეციალურად იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ თავიანთი არმია სტრატეგიული ნედლეულით.

დასავლეთ ზონებში ბევრი მიწისქვეშა სამხედრო ქარხნის საწარმოო სადგომები არა თუ მთლიანადაა დაცული, არამედ ისინი სპეციალურად ისეთ წესრიგზე აქვთ, რომ შესაძლებელი იყოს მათი დაუყოვნებლივ გამოყენება. მიწისქვეშა ქარხანა ებენზეეში (ამერიკული ზონა) არა თუ მოსპობილია, არამედ იქ დადგმულია დაზგები, რომლებიც ამერიკელებმა შეზიდეს უკანასკნელ დროს.

გერმანიასთან ავსტრიის ყოფილ სამხედრო საწარმოთა საწარმოო-ეკონომიური კავშირი არა თუ დარღვეული არ არის, როგორც ამას მოითხოვს საკონტროლო შეთანხმების მესამე მუხლი „ბ", არამედ, პირიქით, ამ კავშირს ინარჩუნებენ და ავითარებენ, რისთვისაც ბაზად აქვთ გერმანიის დასავლეთი ზონები.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ავსტრიის დასავლეთ ზონებში სამხედრო მრეწველობის დემილიტარიზაცია ჩაშლილია, რისი პასუხისმგებლობაც მთლიანად ეკისრებათ ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ძალების მთავარსარდლებს ავსტრიაში.

ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხარეები ცდილობენ დაუმალონ საზოგადოებრივ აზრს თავიანთ ზონებში სამხედრო მრეწველობის დემილიტარიზაციის ჩაშლის ფაქტი, აღნიშნა კურასოვმა, და ყოველგვარი საშუალებით თავს არიდებენ მათი ზონების დემილიტარიზაციის შემოწმების ჩატარებას ოთხმხრივ საფუძველზე. მხოლოდ 1946 წლის დეკემბერში აღმასრულებელმა კომიტეტმა, საბჭოთა წარმომადგენლის მტკიცე მოთხოვნის შედეგად, სამოკავშირეო საბჭოს სახელით დაავალა სამოკავშირეო საბჭოს სამხედრო დირექტორატს გამოერკვია სამხედრო მრეწველობის საწარმოთა რაოდენობა ავსტრიაში და ჩაეტარებინა მათი ოთხმხრივი გამოკვლევა, რათა მიღებულ ყოფილიყო ზომები დემილიტარიზაციის შემდგომი ჩატარებისათვის. მაგრამ ამის შემდეგაც ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის სარდლობანი განაგრძობდნენ ამ შეთანხმებული გადაწყვეტილების შესრულების გაჭიანურების ტაქტიკას. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ მოხერხდა თანხმობის მიღება სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო მრეწველობის საწარმოთა ზოგიერთი ნაწილის გამოკვლევის ჩატარებაზე. მაგრამ ყველა ამ გაჭიანურების შემდეგაც კი, წინასწარ შეთანხმებული ობიექტების გამოკვლევა სრული არ იყო, ვინაიდან ამერიკელმა ხელისუფლებმა არ დაუშვეს შესამოწმებლად დასახული ზოგიერთი საწარმოს დათვალიერება. მაგალითად, მათ ოთხმხრივ კომისიას შესაძლებლობა არ მისცეს შეემოწმებინა იმ 7 დასახული საწარმოდან სამი საწარმოს დემილიტარიზაციის მდგომარეობა, რომლებიც პროდუქციას უშვებენ საავიაციო მრეწველობისათვის.

სამხედრო მრეწველობის დემილიტარიზაციის მდგომარეობა გამონაკლისი როდია, იგი გამოხატავს ავსტრიის დასავლეთ ზონებში დემილიტარიზაციისა და განიარაღების საერთო მდგომარეობას.

დასავლეთ ზონებში მდებარე ყოფილი გერმანული სამხედრო აეროდრომების მნიშვნელოვანი ნაწილი არა თუ მოსპობილია, არამედ გადაკეთებულია თანამედროვე საშუალებებით და მოდერნიზებულია, როგორც, მაგალითად, ხერშინგის აეროდრომი ლინცში, აეროდრომები ზალცბურგში, გრაცში, კლაგენფურტში, ინსბრუკში. ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება, თუ რატომ არიდებენ თავს ასე შეუპოვრად ამერიკისა და ზოგიერთი სხვა მხარეები იმ აეროდრომების ოთხმხრივ შემოწმებას, რომლებიც უნდა მოისპოს ან გადაეცეს ავსტრიის მთავრობას.

შემდეგ ცნობილია, რომ დასავლეთ ზონების ტერიტორიაზე, ავსტრიის დემილიტარიზაციის შესახებ მოკავშირეთა ყველა შეთანხმების საწინააღმდეგოდ, იმყოფებიან ყოფილი ჰიტლერული არმიის სამხედრო ფორმირებანი: ნოლდეხენის გერმანელთა კორპუსი, გენერალ-ლეიტენანტ ალდრიანის ავსტრიული ბრიგადა და როგოჟინის სადამსჯელო კორპუსი—ბრიტანულ ზონაში, „მუშათა ასეულების" სახით არსებული 30-ზე მეტი მტრული საჯარისო ნაწილი—ამერიკულ ზონაში.

მიუხედავად საბჭოთა მხარის არაერთგზის მოთხოვნისა ამ ფორმირებათა დაშლის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისრებმა კი არ მოსპეს, არამედ მხოლოდ დაანაწილეს აღნიშნული საჯარისო ნაწილები და ნაწილობრივ გაიყვანეს გერმანიის თავიანთ ზონებში, დასტოვეს მათში არსებული სამხედრო წესები, შტაბები და სამხედრო პროპაგანდა. ამის შედეგად მტრული საჯარისო ნაწილები ავსტრიის დასავლეთ ზონების ტერიტორიაზე დღემდე სამხედრო ძალას წარმოადგენენ. მაგალითად, როგოჟინის კორპუსი, რომელშიც 10 ათასი კაცი ითვლება, ამჟამად განლაგებულია ავსტრია-იუგოსლავიის საზღვრის გასწვრივ „მუშათა ასეულების" სახით. კორპუსში არის შტაბები, კავშირგაბმულობა, მეთაურთა კადრები, უშვებენ ჟურნალებს, აშკარად ეწევიან სამხედრო პროპაგანდას.

გარდა ამისა, ავსტრიის ამერიკულ და ბრიტანულ ზონებში იმყოფება იუგოსლაველ კვისლინგთა ჯარების დიდი რაოდენობა. ამ ჯარებში 25 ათასზე მეტი კაცი ითვლება. ისინიც გაერთიანებული არიან სამხედრო თვალსაზრისით, აქვთ შტაბები, სამხედრო წესები და კავშირი ანალოგიურ ჯგუფებთან დასავლეთ გერმანიაში. ბევრი ამ ნაწილთაგანი განლაგებულია ავსტრიის სამხრეთ საზღვარზე.

ამავე ზონებში დატოვებულია უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის კვისლინგური რეჟიმისდროინდელი იმ არმიების ნაშთები, რომლებიც ჰიტლერის მხარეზე იბრძოდნენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, სთქვა კურასოვმა, რომ ეს სამხედრო ფორმირებანი ამავე დროს ახალი ომის აღვირახსნილი პროპაგანდის ცენტრებია. საოკუპაციო ხელისუფალთა თანხმობით ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზონებში უშვებენ აშკარა ფაშისტური ხასიათის აუარებელ ფურცლებს, რომლებშიც აგიტაციას ეწევიან ადგილგადანაცვლებულ პირთა რეპატრიაციის წინააღმდეგ და აშკარად მოუწოდებენ საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომისაკენ. მაგალითად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მარტო რუსულ და უკრაინულ ენებზე ამერიკულ ზონაში გამოდის „ოგნი", „ოსტანი ნოვინი" და მთელი რიგი სხვა სამხედრო-პროპაგანდისტული გამოცემები; ბრიტანულ ზონაში—„ნა რუბეჟე", „კოლერბერგსკიე ვესტი", „სკიტალეცი", „საინფორმაციო ბიულეტენი" და სხვა; ფრანგულ ზონაში — „ნა სტრაჟე", „შჩიდენი ვისტი" და სხვა. გარდა ამისა, გერმანიის დასავლეთი ზონებიდან ავსტრიას ავსებენ სხვადასხვა ფაშისტური გამოცემებით, რომლებიც ახალი ომის პროპაგანდას ეწევიან. ახალი ომის აშკარა პროპაგანდა სიტყვიერი და ზეპირი ფორმით დასავლეთ ზონებში ისახავს პირდაპირ მიზანს—შექმნას ომის ფსიქოზის ატმოსფერო. შემთხვევითი როდია, რომ ავსტრიის დასავლეთ ზონებში, ისე როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, წარმოიშვებიან არალეგალური ნაცისტური სამხედრო-დივერსიული ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად შესდგებიან ჰიტლერული არმიის ყოფილი ოფიცრებისაგან და რომლებიც თავიანთ გეგმებს ადგენენ ახალი ომის ვარაუდით.

ზემოთმოყვანილი ფაქტები მთელი სიცხადით ამხელს ამერიკისა და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალთა გეგმებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ დასავლეთი ავსტრია თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციონ. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამერიკელი და ბრიტანელი ხელისუფალნი საფრანგეთის მხარის დახმარებით ასეთი შეუპოვრობით ცდილობენ ჩაშალონ ავსტრიის დემილიტარიზაცია და განიარაღება, შეინარჩუნონ სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი და ჰიტლერული არმიის ფორმირებანი, რითაც მშვიდობასა და უშიშროებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიან.

ვინაიდან სამოკავშირეო საბჭოს 23 დეკემბრის სხდომაზე ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხარეებმა უარი სთქვეს ზომების მიღებაზე სამხედრო მრეწველობის ნამდვილი დემილიტარიზაციის განსახორციელებლად, ეს არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არ როგორც უარი იმ ვალდებულებებზე, რომლებიც იკისრეს ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ავსტრიის დემილიტარიზაციისა და განიარაღების დარგში.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მოქმედება

ნანკინი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 1947 წლის დამლევისათვის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გუანსის პროვინციაში 39 მაზრა დაიკავა. აღმოსავლეთ გუანსიში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ შექმნა განთავისუფლებული რაიონი, რომელშიც შედის ჯუანსიანის, სინანის, გუანიანის, ფუჯუნისა და ხესიანის მაზრები, მთიან რაიონში ჩამოაყალიბეს პროფესიული კავშირები, გლეხთა კავშირები და ქალთა ორგანიზაციები.

ჩრდილოეთი შენსი, 17 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა, რომლებიც ხუბეი-ხენან-ანხუეის რაიონში პარტიზანებთან ერთად მოქმედებენ, ჩაშალეს ეგრეთწოდებული „წმენდის ოპერაციები", რაც გომინდანელთა სარდლობამ დაიწყო მთიან რაიონ დაბეიშანში, და 1947 წლის 24 დეკემბრისათვის ამ რაიონში 8,867 გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ამ დროისათვის 11 სამაზრო ქალაქი გაათავისუფლა და სერიოზული დარტყმები მიაყენა გომინდანელთა მე-10, მე-11, 25-ე და 46-დივიზიებს.

განთავისუფლებულ ქალაქებს შორის არიან: ტაიხუ, სუსუნი, ლიხუანი, იუჯოუ (ანხუეის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში), ინშანი (ხუბეის პროვინციის აღმოსავლეთ საზღვარზე), იუნანი, ტუნბო (ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში), ძიაოიანი, ჯუნსიანი, ტიანმინი და დინშანი (მდინარე ხანის ჩრდილოეთით ხუბეის პროვინციაში).

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა ხელთ იგდეს 34 საარტილერიო ქვემეხი, 105 ტყვიამფრქვევი, 23 კარაბინი, 4,768 შაშხანა და რევოლვერი.

დაბეიშანის მთიან რაიონში მოქმედი პარტიზანთა ჯარების რაოდენობა ამ რაიონში გენერალ ლუ ბო-ჩენის მიერ დაწყებული კონტრშეტევის სამი თვის მანძილზე 5-10-ჯერ გაიზარდა.

ამჟამად პარტიზანები მოქმედებენ რაიონში, რომელიც ხუბეის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილიდან და ანხუეის პროვინციის დასავლეთი ნაწილიდან მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირებამდე ვრცელდება. ეს პარტიზანული ნაწილები ზურგში დასტოვეს გენერალ ლი სიან-ნიანის ჯარებმა, რომლებმაც ერთი წლის წინათ გაარღვიეს გომინდანელთა ჯარების გარემოცვის რკალი.

ჩრდილოეთი შენსი, 17 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთი პროვინციების სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შტაბის კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ცხრა თვის მანძილზე, 1947 წლის 13 მარტიდან, ესე იგი იანანის რაიონში გომინდანის ჯარების შეტევის დაწყებიდან, გომინდანელებმა 61,720 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ამ ხნის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა გაანადგურეს გომინდანელთა სამი დივიზიის შტაბი, 10 ბრიგადა, 2 პოლკი, 1 ბატალიონი და 2 ასეული. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 91 გომინდანელი ოფიცერი, მათ შორის 74 კადრის ოფიცერი.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. (საკდესი). 15 იანვარს უშიშროების საბჭო შეუდგა ინდოეთის მთავრობის 1 იანვრის საჩივრის არსის განხილვას. ამ საჩივარში პაკისტანის მთავრობას ბრალად ედებოდა აგრესია ინდოეთის წინააღმდეგ კაშმირში შეჭრილი ტომებისათვის დახმარების გაწევის გზით. მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნა ინდოეთის წარმომადგენლის აიანგარის განცხადება, რომელმაც შეაჯამა და გააფართოვა ინდოეთის მთავრობის წინანდელი განცხადება, საბჭომ სხდომა გადასდო, რათა მოისმინოს პაკისტანის წარმომადგენლის ზაფრულას პასუხი.

აიანგარმა ხაზგასმით აღნიშნა მდგომარეობის სერიოზულობა და მტკიცედ მოითხოვა, რომ საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა აიძულოს პაკისტანის მთავრობა აღარ გაუწიოს კაშმირის დამპყრობლებს რაიმე დახმარება ან არ შეუშვას ისინი პაკისტანის ტერიტორიაზე, რათა ლიკვიდირებულ იქნას ჩიხი, რომელიც შეიქმნა პაკისტანისა და ინდოეთის ერთიერთობაში და მოისპოს „ორ ქვეყანას შორის შეიარაღებული შეტაკების საფრთხე და მისი თითქმის გარდუვალი გავლენა საერთაშორისო მშვიდობაზე".

ხელმოწერილია შეთანხმება ჰოლანდიასა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ

ჯაკარტა, 17 იანვარი. (საკდესი). დღეს ხომალდ „რენვილზე" ხელი მოაწერეს ჰოლანდიისა და ინდონეზიის რესპუბლიკის შეთანხმებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

იუგოსლავიის სააგენტო ტანიუგის ცნობა

ბელგრადი, 17 იანვარი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ტანიუგის შემდეგი ოფიციალური ცნობა: ბრიუსელში არსებულ სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო სააგენტოს (იარა-ს) ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა აცნობეს, რომ იმ სახელმწიფოთათვის რეპარაციების გასანაწილებლად, რომლებიც გერმანიასთან ომის მდგომარეობაში იყვნენ, ამ სააგენტოს გამოუყოფენ 217.883.420 ამერიკული დოლარის საერთო ღირებულების სამრეწველო საწარმოებისა და სავაჭრო გემების ერთგვარ რაოდენობას. ვინაიდან ეს თანხა სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო სააგენტოს (იარა-ს) წევრ სახელმწიფოთა ზარალის მხოლოდ 0,39 პროცენტს შეადგენს, იარა-ს საბჭომ ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გაუგზავნა რეზოლუცია, რომელშიც მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანიის დასავლეთი ზონებიდან სარეპარაციოდ გათვალისწინებულია საწარმოთა ასე უმნიშვნელო რაოდენობა. მაგრამ მინისტრების საბჭომ მუშაობა შესწყვიტა მანამდე, სანამ ამ საკითხის განხილვას მოასწრებდა.

შექმნილ ვითარებაში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ფიქრობს, რომ ამ ქვეყნების ინტერესებისათვის, რომლებმაც რეპარაციები უნდა მიიღონ გერმანიისაგან, აგრეთვე მშვიდობის ინტერესებისათვის იარა-ს წევრმა იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ გერმანიის ოკუპაციაში, კონსულტაცია უნდა გაუწიონ ერთმანეთს, განსაზღვრონ თავიანთი საერთო აზრი და პოზიცია და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც გერმანიის დასავლეთ ზონებს მართავენ. ამ მიზნით იუგოსლავიის მთავრობამ წინადადება წამოაყენა 1948 წლის 5 თებერვალს ბრიუსელში მოწვეულ იქნას დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენცია. ამის შესახებ წინადადება გაეგზავნა ალბანეთის, ავსტრალიის, ბელგიის, კანადის, დანიის, ეგვიპტის, ინდოეთის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, ახალი ზელანდიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობებს.

იუგოსლავიის მთავრობამ მიწვევასთან ერთად დაგზავნა პროექტი მემორანდუმისა, რომელიც მას განზრახული აქვს შეიტანოს ბრიუსელის კონფერენციის განსახილველად, ხოლო შემდეგ საბოლოო რედაქციით წარუდგინოს გერმანიის დასავლეთი ზონების მმართველ მთავრობებს.

უნგრეთის პარლამენტში

ბუდაპეშტი, 16 იანვარი. (საკდესი). ფინანსთა მინისტრმა ნიარადიმ პარლამენტის განსახილველად შეიტანა 1947-1948 წლის ბიუჯეტი. ნიარადიმ აღნიშნა, რომ შარშან ბიუჯეტის დეფიციტი მნიშვნელოვნად შემცირდა და რომ მთავრობამ შესძლო თავიდან აეცილებინა ახალი ბანკნოტების გამოშვება, და განაცხადა:

ეს უდიდესი წარმატებაა, რადგან მეტწილმა უცხო სახელმწიფოებმა საბიუჯეტო წელი მნიშვნელოვანი დეფიციტით დაამთავრეს. სწორი ეკონომიური პოლიტიკის შედეგად ახლა საშუალება მაქვს პარლამენტის განსახილველად შემოვიტანო ბიუჯეტი, რომლის საშემოსავლო ნაწილი აღემატება საგასავლო ნაწილს.

ნიარადიმ ხაზგასმით აღნიშნა: ახალი ბიუჯეტი თავისთავად ამტკიცებს იმას, რომ უნგრეთი შესძლებს თავიდან აიცილოს ინფლაცია მომავალში. ახლა, სთქვა მან, როცა სამეურნეო სამინისტროების დახმარებით და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ეფექტიანი ხელშეწყობით ჩვენ ხანგრძლივი ვადის შემდეგ პირველად შევძელით შეგვემუშავებინა უდეფიციტო ბიუჯეტი, ჩვენ ნამდვილად მივაღწიეთ იმას, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში აღკვეთილია ინფლაციის ყველაზე მთავარი მიზეზი—სახელმწიფო დეფიციტის შევსება ახალი ბანკნოტების გამოშვების გზით.

შემდეგ ფინანსთა მინისტრმა გადაშალა უნგრეთის ეკონომიკისა და ნაციონალური შემოსავლის საერთო სურათი. სამთო-მომპოვებელი მრეწველობის, შავი მეტალურგიის, დამმუშავებელი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის შედეგები აღწევენ, ხოლო ზოგ დარგში აღემატებიან კიდევაც, ომამდელ დონეს როგორც წარმოების მხრივ, ისე ნაციონალურ შემოსავალში მონაწილეობის მხრივ. მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წარმოება.

ახლანდელი ბიუჯეტი სთქვა ნიარადიმ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მონაწილეობას ნაციონალურ შემოსავალში 5,1 მილიარდი ფორინტის რაოდენობით, ნაცვლად გასული წლის 4 მილიარდისა. სამრეწველო წარმოების მონაწილეობა კი ნაციონალურ შემოსავალში გამოიხატება 5,8 მილიარდი ფორინტით, ნაცვლად შარშანდელი 4,1 მილიარდისა.

ნიარადიმ განსაკუთრებით აღნიშნა წარმატება ტრანსპორტის დარგში. მოძრავი შემადგენლობა ამჟამადვე აღემატება ომამდელ დონეს 38 პროცენტით, ხოლო სატვირთო ავტომანქანების პარკი ერთისამად გადიდდა.

ნიარადიმ აღნიშნა საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სწრაფი ზრდა, გადაშალა უნგრეთის დემოკრატიის საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმისტური პერსპექტივები და დადებითად შეაფასა ბანკების ნაციონალიზაცია, როგორც ღონისძიება, რომელმაც საკრედიტო პოლიტიკის ერთიანი მიმართულების შესაძლებლობა შექმნა. დასასრულ მან გამოაქვეყნა განსახილველად შეტანილი სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ციფრი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გათვალისწინებულია 7.576,1 მილიონი ფორინტის რაოდენობით, ხოლო საგასავლო—7.553,7 მილიონი ფორინტის რაოდენობით.

ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია ბუქარესტიდან გაემგზავრა

ბუქარესტი, 17 იანვარი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია გ. მ. დიმიტროვის მეთაურობით ბუქარესტიდან გაემგზავრა. დელეგაცია გააცილეს მთავრობის წევრებმა დოქტორ პეტრუ გროზას მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა, პარლამენტის წარმომადგენლებმა, მასობრივი ორგანიზაციებისა და პროფკავშირების დელეგაციებმა.

გაზეთი „ლუმანიტე" პოლკოვნიკ მარკიეს დაპატიმრების შესახებ

პარიზი, 17 იანვარი. (საკდესი). „ლუმანიტე" იუწყება, რომ დააპატიმრეს რეპატრიაციის საკითხთა საფრანგეთის მისიის ყოფილი უფროსი სსრ კავშირში პოლკოვნიკი მარკიე. ეს საზიზღარი შურისგებაა იმისათვის, სწერს გაზეთი, რომ მარკიემ ის სთქვა, რაც სინდისმა უკარნახა. მას არ სურდა საფრანგეთის მთავრობის თანამონაწილე ყოფილიყო და ამისათვის დაპატიმრებულია კანონისა და ზნეჩვეულების საწინააღმდეგოდ.

მთელ რიგ ქვეყნებში, განაგრძობს „ლუმანიტე", დიპლომატები და საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები ანტიდემოკრატიულ, ანტიფრანგულ პროპაგანდას ეწევიან. მაგრამ მარკიეს ბრალი დასდეს იმისათვის, რომ მან სთქვა სიტყვები, რომლებიც ასახავენ ფრანგი ხალხის მეგობრობას სსრ კავშირისადმი იმ მომენტში, როცა მთავრობა, ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანებით, საზიზღარ პროვოკაციებს ეწეოდა.

მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის გახსნის შესახებ

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). პარიზის რადიო და გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სწარმოებს მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის გახსნის შესახებ. ჟორჟ ბიდომ, სწერს გაზეთი „მონდი", გუშინ მიიღო ეროვნული კრების მთელი რიგი დეპუტატები ქვემო და აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტებიდან. ამ მოლაპარაკების დროს აღნიშნული სანაპირო დეპარტამენტების წარმომადგენლებმა ბიდოსთან ერთად განიხილეს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის რაც შეიძლება მალე გახსნის შესაძლებლობა. როგორც ეტყობა, წამოიჭრება საკითხი იმ სტატუტის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ მანამდე არსებობდა, სანამ საზღვარი დაიხურებოდა 1946 წლის მარტში.

გაზეთი „ლუმანიტე" ამის გამო სწერს: „ვაშინგტონმა გადასწყვიტა, რომ, სანამ ესპანეთი შეტანილი იქნებოდეს იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც სარგებლობენ დახმარებით „მარშალის გეგმის" მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტმა მთავრობებმა, და პირველ რიგში საფრანგეთმა, უნდა განაახლონ სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთის ხალხის ჯალათთან. საფრანგეთის რეაქციული წრეები, სწერს გაზეთი, მხოლოდ თავისი ამერიკელი ბატონების სიგნალს ელიან. გუშინ იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ბიდომ მიიღო, იყო ეროვნული კრების ორი დეპუტატი—გი პეტი და შევენიე. დელეგაცია მოითხოვდა „პირენეის საზღვრის საკითხის გადასინჯვას".

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

---

24 იანვარს, საღამოს 7 საათზე, კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის მეორე მოწვევის რაისაბჭოს 1-ლი სესია.

23 იანვარს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების ლენინის მეორე მოწვევის რაისაბჭოს 1-ლი სესია. სესიის სხდომა შესდგება მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ. № 134).

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

20 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ინსტრუქტორებისათვის შესდგება ამხ. **გორგილაძის** ლექცია თემაზე: **„მარქსიზმის უდიდესი საპროგრამო დოკუმენტი—„კომუნისტური მანიფესტი"**.

20 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ **ქადეიშვილის** კონსულტაცია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

20 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ **კალანდაძისა** და ამხ. **გაბილაიას** კონსულტაცია ფილოსოფიაში.

სემინარი

20 იანვარს, საღამოს 5 ს. 30 წ. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი თემაზე: **„მარქსიზმის უდიდესი საპროგრამო დოკუმენტი—„კომუნისტური მანიფესტი"**.

ლექტორი ამხ. **მირიანაშვილი**.

20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი თემაზე: **„კომუნისტური მანიფესტის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა"**.

ლექტორები ამხ. **მესტვირიშვილი** და ამხ. **კალაძე**.

20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი თემაზე **„მარქსისტული პარტიის ტაქტიკური საფუძვლების დაცვა და განვითარება ამხანაგ სტალინის მიერ"**.

ლექტორები ამხ. **გამსახურდია** და ამხ. **პრიმო**.

20 იანვარს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი თემაზე: **„ამხანაგ სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომი"**.

ლექტორი ამხ. **მგალობლიშვილი**.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

I. განყოფილებების გამგეები

1. კლინიკო-ბალნეოლოგიური განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 2. ბალნეოთერაპიული განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 3. საკურორტო-სასანატორიო სტაციონარის პოლიკლინიკური მკურნალობის განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 4 ფიზიოთერაპიული განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 5. ბიოქიმიური განყოფილების გამგე—ბიოლოგიურ ან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 6. ექსპერიმენტული განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ფიზიოლოგი ან ფარმაკოლოგი, 7. კურორტებზე სამკურნალო საქმის სამეცნიერო ორგანიზაციისა და მკურნალობის აღრიცხვის განყოფილების გამგე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 8. საკურორტო რესურსების ძიებისა და შესწავლის განყოფილების გამგე—გეოლოგიურ-მინერალოგიურ ან ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, 9. ბიოკლიმატიური განყოფილების გამგე—გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, 10. კურორტების გენერალური დაგეგმარების და რეკონსტრუქციის განყოფილების გამგე—ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

II. ქვეგანყოფილების გამგე:

1. დერმატოლოგიურის — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

III. სექტორების გამგეები:

1. ფიზიკის—ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 2. მორფოლოგიის—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 3 ბაღისა და პარკის ხელოვნების—სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი, 4. მიკრობიოლოგიის—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ ზემოაღნიშნული თანამდებობების დაკავება, უნდა შემოიტანონ განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, სათანადო საბუთების დართვით სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 49.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოქვეყნებისა.

მოქალაქე **გიორგი ივანეს-ძე ისაევმა**, მცხოვრებმა მამაცაშვილის ქ. № 16, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ტატიანა ივანეს ასულ კლინკოვსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები ქეთო, რომან, პეტრე, ლევან, დავით ოჯახებით იუწყებიან **პელაგია დარისპანის ასულ ლაღიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-I, მე-2-ე ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

მეუღლე ეფრემ, შვილები ადამ, ნინო ოჯახებით იუწყებიან **მაგდან გაბრიელის ასულ ვალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-I, 6 ს. გამოსვენება 22-I, 5 ს. არდაგანის შესახვ. 3.

შვილი მარიამ ფავლენიშვილი, და ლიზა ხევსურიანი შვილებით იუწყებიან **ბარბარე მიხეილის ასულ ფავლენიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 2 ს. კალანდაძის, 18.

შვილები ქიონია, გერასიმე, სერგო, გალაქტიონ, ამბერკი ოჯახებით იუწყებიან **კესარია ოტიას ასულ სამხონაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-I ნიგოითში (ლანჩხუთის რ.).

დედა პელაგია, და თამარ, სიძე ჯ. ნიკარაძე ოჯახებით იუწყებიან **გივი ივანეს-ძე კილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-I ქუთაისში, წულუკიძის, 20.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან პროფესორ **იოსებ სპირიდონის-ძე ვაჭაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 20-I, 3 ს. გურამიშვილის 22.

თბილისის მე-7 საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგები იუწყებიან **ვასილ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 20-I, ვარდისუბნის, 24.

ალექსანდრე, ვერა, ხუტა გაბუნიები იუწყებიან სიძის **ლევან დავითის-ძე გაჩერელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 4 ს. I შირშოვის, 13.

ქალთა მე-6 სკოლის მე-3 გამოშვების 1946-47 სასწავლო წლის XI¹ კლასი იუწყება მასწავლებელ **ვასილ აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის ქალთა მე-6 სკოლის XI¹ კლასის მოსწავლეები იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **ვასილ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის და ტექნოლოგიის ფაკულტეტები და მანქანათა ნაწილების კათედრა იუწყებიან დამსახურებული პროფესორის, კათედრის გამგის **იოსებ სპირიდონის-ძე ვაჭაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.78.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3.30.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51,81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 ЮЭ 00007